



## სოციოლოგიის შესავალი – პირველი ლექცია

1. სოციოლოგია როგორც მეცნიერება.
2. სოციოლოგიური მიდგომები.
3. მიკრო და მაკრო სოციოლოგიური თეორიები.
4. სოციოლოგიური კვლევის მეთოდები
5. სოციოლოგია და სხვა სოციალური მეცნიერებები
6. თეორიული დილემები:
  - ა. სტრუქტურა და აქტორი;
  - ბ. კონფლიქტი და კონსენსუსი;
  - ბ. სამყაროს განვითარების მოდელები;
  - ღ. გენდერული დილემა.

➤ დასკვნა

ნეილ სმელზერი

### 1. სოციოლოგია როგორც მეცნიერება.

სოციოლოგია, მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანის შესწავლის ერთ-ერთი საშუალებაა. სოციოლოგები ცდილობენ გაიგონ რატომ იქცევიან ადამიანები გარკვეული სახით, რატომ ქმნიან ჯგუფებს, მიდიან ომში, თაყვანს სცემენ რამეს, ქორწინდებიან, ხმას აძლევენ, ე.ი. ყველაფერი რასაც ადგილი აქვს ადამიანებთან, როდესაც ისინი ერთმანეთთან ურთიერთობენ. მოკლედ, სოციოლოგია შეიძლება განისაზღვროს, როგორც საზოგადოებისა და სოციალური ურთიერთობების მეცნიერული შესწავლა.

რა გვაქვს ჩვენ მხედველობაში, როდესაც საზოგადოების მეცნიერულად შესწავლაზე ვსაუბრობთ? ეს რომ ნათელი გახდეს განვიხილოთ, მაგალითად, გამოკვლევა, რომელიც ჩაატარა ჩემმა ერთ-ერთმა სტუდენტმა. (ჩვენი განსაზღვრების მეორე და მესამე ნაწილს ჩვენ დეტალურად შევეხებით ამ წიგნის მე-3-ე თავში).

სტუდენტმა, მარკმა, გადაწყვიტა გაეგოთ თუ როგორ უყურებენ ადამიანები თაღლითობას. მან მოამზადა ანკეტები და დაურიგა სტუდენტებს ბერკლის, კალიფორნიის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე (სტროულ პლანასა და ალესზე). ანკეტაში იყო რამოდენიმე კითხვა. სტუდენტს ჯერ უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე თუ რა უფრო ცუდია - გადასახადებთან დაკავშირებული სიცრუე თუ დახმარებებთან დაკავშირებული თაღლითობა. (გადასახადებთან დაკავშირებული სიცრუე ნიშნავს შენი შემოსავლის შესახებ წარადგინო არასწორი ცნობები და თავი აარიდო სავალდებულო გადასახადს; დახმარებებთან დაკავშირებული თაღლითობა - ეს არის სახელმწიფოსაგან იმ ფულის მიღება, რომელიც შენ კანონით არ გეკუთვნის).



ანკეტაში სტუდენტებმა მიუთითეს ასაკი, განათლება, მშობლების საქმიანობა, ოჯახის შემოსავალი. სულ გამოკითხულ იქნა 100 სტუდენტი. სტუდენტებმა გამოთქვეს თავიანთი აზრი თუ რომელი თაღლითობა უფრო გასაკიცხია. შეაგროვა რა ყველა მონაცემები, ე.ი. პასუხები, მარკს უნდა შეერჩია მათი კლასიფიკაციის მეთოდი, რათა გამოკვლევას ქონოდა აზრი. მან თავიდან საკუთარ თავს დაუსვა რამოდენიმე კითხვა. ვინ უფრო ცდილობს თავი აარიდოს დადგენილ გადასახადს - ღარიბები თუ საშუალო კლასის წარმომადგენლები? ალბათ საშუალო კლასის წარმომადგენელი, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას მეტი ფული აქვს და მამასადამე, უპრიანია ითაღლითოს გადასახადებზე. იციან რა, რომ მოტყუება არ შეიძლება, საშუალო შემოსავლიანი ოჯახი ცდილობს იმართლოს თავი, ირწმუნებიან, მაგალითად, რომ მთავრობა ძალზე დიდ დაქვეითებს აკეთებს მათი ხელფასებიდან, რომ გადასახადის სიდიდე იმათ დაადგინეს, ვინც უკანონოდ ღებულობს დახმარებას. ასეთი ოჯახებიდან გამოსულ სტუდენტებზე გავლენა აქვს მშობლების შეხედულებებს, და ისინიც ალბათ თვლიან, რომ დახმარების არაკანონიერი მიღება უარესია, ვიდრე სავალდებულო გადასახადებისაგან თავის არიდება.

შემდეგ მარკი აყალიბებს თავის ჰიპოთეზას: საშუალო შემოსავლიანი ოჯახიდან გამოსული სტუდენტები თვლიან, რომ დახმარების არაკანონიერი მიღება უარესია, ვიდრე დადგენილი გადასახადებისათვის თავის არიდება.

რა ვითარებაა ღარიბი ოჯახებიდან გამოსულ სტუდენტებთან მიმართებაში? ხომ არ მიაჩნიათ მათ, რომ გადასახადებისაგან თავის არიდება მეტი განკიცხვის ღირსია, ვიდრე დახმარების უკანონო მიღება? მათ შეუძლიათ მიიღონ დახმარება ან იცხოვრონ სიღარიბის დონეზე. ამიტომ ისინი, ალბათ დადებითად ჩათვლიდნენ სახელმწიფოსაგან რაიმეს მიღებისაკენ მისწრაფებას. გარდა ამისა, შეიძლება ეს სტუდენტები გააღიზიანოს ბევრი ფულის მქონე ადამიანებმა და ჩათვალონ, რომ მდიდრებს უფრო მაღალი გადასახადები უნდა ქონდეთ. მარკის ჰიპოთეზა: დაბალშემოსავლიანი ადამიანების აზრით დადგენილი გადასახადებისაგან თავის არიდება უფრო გასაკიცხია, ვიდრე დახმარების არაკანონიერი მიღება.

#1 ცხრილის გაცნობისას თქვენ დარწმუნდებით, რომ მარკის მიერ მიღებული მონაცემები ასაბუთებენ მის ჰიპოთეზას: როგორც ეტყობა, მართლაც არსებობს კავშირი ოჯახის შემოსავალსა და თაღლითობის სხვადასხვა საშუალებებთან სტუდენტების დამოკიდებულებას შორის. გარდა ამისა, სტუდენტთა შეხედულებებზე გავლენა აქვს მშობლების განათლებას. 1-2 ცხრილები მოწმობენ, რომ: რაც უფრო მაღალია მშობლების განათლებულობის დონე, მით უფრო მეტია ალბათობა, რომ მათი შვილები მზად არიან გაკიცხონ დახმარებების უკანონო მიღება. რაც უფრო დაბალია ეს დონე, მეტი ალბათობაა, რომ შვილები გაკიცხავენ გადასახადებზე თავის არიდებას.

მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად მარკი აკეთებს დასკვნას, რომ განსახილველი პრობლემისადმი განსხვავებული დამოკიდებულება საზოგადოებრივ კლასებს შორის განსხვავებამ განაპირობა. საშუალო კლასის წარმომადგენლები ნაკლებად კიცხავენ გადასახადებზე თავის არიდებას, ხოლო დაბალი კლასი - დახმარების უკანონო მიღებას,



მაგრამ, როგორც ჩანს, ერთი სოციალური კლასის წარმომადგენლებს ახასიათებთ მიდრეკილება გაკიცხონ მეორის ქცევა და არა საკუთარი.

ცხრილი #1.

მშობლების შემოსავლის გავლენა დამოკიდებულებაზე ორი სახის თაღლითობასთან.

შემოსავალი შეადგენს 15000 დოლარზე მეტს წელიწადში (52 გამოკითხული)		შემოსავალი შეადგენს 15000 დოლარზე ნაკლებს წელიწადში (48 გამოკითხული)	
კითხვა			
დახმარების უკანონო მიღება უფრო ცუდია	გადასახადებისგან თავის არიდება უფრო ცუდია	დახმარების უკანონო მიღება უფრო ცუდია	გადასახადებისგან თავის არიდება უფრო ცუდია
სტუდენტების პასუხი %			
87	13	42	56

ცხრილი#2.

მშობლების განათლების დონე და დამოკიდებულება ორ სახის თაღლითობასთან.

ერთ – ერთი მშობელი მაინც ორ წელიწადზე მეტს სწავლობდა კოლეჯში (53 გამოკითხული)		ორივე მშობელი ორ წელიწადზე ნაკლებს სწავლობდა კოლეჯში	
კითხვა			
დახმარების უკანონო მიღება უფრო ცუდია	გადასახადებისგან თავის არიდება უფრო ცუდია	დახმარების უკანონო მიღება უფრო ცუდია	გადასახადებისგან თავის არიდება უფრო ცუდია
სტუდენტების პასუხი %			
75	25	32	68

გამოკვლევის მარკისეული პროექტი შეიძლება ჩაითვალოს სოციოლოგიურად, ოთხი მიზეზის გამო. ჯერ-ერთი, მონაცემები მან აიღო რეალური ცხოვრებიდან - მიიღო შესასწავლი ფაქტები. მეორე, გამოკვლევა ისე ჩამოაყალიბა, რომ მისი ანალიზი შეიძლება შემადგენელი ნაწილების მიხედვით (მაგალითად, მან მშობლების შემოსავალი დაყო ორ კატეგორიად: წელიწადში 15000 დოლარზე ნაკლები და მასზე მეტი). მესამე, მან ანკეტაში მოცემული პასუხების განსხვავებები დაასაბუთა სოციალურ კლასებზე თეორიის დახმარებით. და მეოთხე, მან გააანალიზა სოციალური ურთიერთობები, გამოავლინა თუ როგორ მოქმედებს შვილებზე მშობლების პოზიცია და ცხოვრების წესი.

**რა არის სოციოლოგია?**

მარკის გამოკვლევა შეიძლება ჩაითვალოს სოციოლოგიად მინიატურაში: ფაქტები, განზომილება, ჰიპოთეზების ფორმულირება და სოციალური ურთიერთობების გამოვლენა. მარკს სურდა არა უბრალოდ აეხსნა სტუდენტთა დამოკიდებულება სიცრუესა და თაღლითობასთან. ის მიისწრაფვოდა აეხსნა ეს მეცნიერულად. ამ მიზნით მან ჩამოაყალიბა



ჰიპოთეზა, შეკრიბა მონაცემები და ჰიპოთეზა შეამოწმა მონაცემთა ანალიზის საფუძველზე. სწორედ ასეთი მიდგომა განსაზღვრავს სოციოლოგიას, როგორც *საზოგადოებრივ მეცნიერებას*. განსაკუთრებულ მეცნიერებად ჩამოყალიბება სოციოლოგიამ მხოლოდ ორი საუკუნის წინ დაიწყო. მისი დამფუძნებლები, XIX საუკუნის ევროპელი მეცნიერები (მათი იდეებისა და თეორიების მოკლე განხილვა მოცემული იქნება ამ წიგნის ცალკეულ თავებში) ცდილობდნენ გაეგოთ და აეხსნათ ის უზარმაზარი ცვლილებები, რომლებიც სამრეწველო რევოლუციებმა, დემოკრატიული იდეებისა და ინსტიტუტების განვითარებამ გამოიწვია. ამერიკული სოციოლოგია, რომელიც XIX საუკუნის დასასრულს ჩამოყალიბდა, ძირითადად სამრეწველო ქალაქების ისეთი სოციალური პრობლემების შესწავლასთანაა დაკავშირებული, როგორებიცაა სიღარიბე, დანაშაული და საზოგადოებრივი ცხოვრების დეპერსონალიზაცია. აშშ უნივერსიტეტებში პირველი სოციოლოგიური ფაკულტეტები XIX საუკუნის 90-იან წლებში გაიხსნა. ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში „ჩიკაგოს სკოლის“ მეცნიერებმა, რომლებიც ჩიკაგოს უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტის თანამშრომლები იყვნენ, სავსე გამოკვლევები რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში პირველებმა განახორციელეს. ამან მნიშვნელოვნად აამაღლა სოციოლოგიური დაკვირვებების სიზუსტე. დღეისათვის სოციოლოგია აღიარებული სასწავლო დისციპლინაა, შეისწავლება კოლეჯებში, როგორც საზოგადოებრივი დისციპლინა, გამოიყენება სოციალური პროგრამების შემუშავებისა და განხორციელებისათვის, საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების გასაანალიზებლად; ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს კოლეჯების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში. მოდით საზოგადოების შესწავლის ეს განსაკუთრებული საშუალება დეტალურად განვიხილოთ.

## საზოგადოება მიკროსკოპის ქვეშ.

ჩვეულებრივ, გარე სამყაროს „ფაქტების“ სამ განსხვავებულ ჯგუფად ყოფენ. არსებობს ბიოლოგიური ფაქტები: სუნთქვა, კვება, ძილი და ა.შ. არსებობს ფსიქოლოგიური ფაქტები, მაგალითად, სასიყვარულო ემოციები, სიძულვილი, ან, ვთქვათ აღქმა, ფერწერული ნაშრომის ჭკრეტით მიღებული სიამოვნება. და არსებობს სოციოლოგიური ფაქტები, დაკავშირებული საზოგადოებასთან და სოციალურ ურთიერთობებთან. ჩვენ ვიდაცასთან ვმეგობრობთ, გვყავს თანამშრომლები, ვირიცხებით გარკვეულ ჯგუფებში. თუ სამყაროს ამგვარად შევხედავთ, თითქოსდა ლოგიკის მიხედვით მეცნიერების ყოველი სფერო უნდა სწავლობდეს ფაქტების გარკვეულ ჯგუფს და არ უნდა ეხებოდეს სხვა ფაქტებს. მაგრამ სინამდვილეში ეს მიდგომა უვარგისია. ერთი და იგივე ფაქტით შეიძლება მთელი რიგი მეცნიერებები დაინტერესდეს.

განვიხილოთ ქცევის მარტივი მაგალითი: ქალბატონი ყიდულობს ოთხ ბილეთს ჰავაის კუნძულებზე გადასაფრენად, სადაც ის და მისი ოჯახი ორკვირიან შვებულებას გაატარებს. ფსიქოლოგმა მოისურვა გაეგო, თუ ამ ქალბატონმა რატომ აირჩია მაიცდამაინც ჰავაის კუნძულები. ეკონომისტი ბილეთების შეძენას განიხილავდა იმ კუთხით, თუ როგორ შეეძლო ამ ქალბატონს სხვაგვარად დაეხარჯა თავისი ფული. სოციოლოგი აღნიშნავდა, რომ სამი სხვა მგზავრი არის ამ ქალბატონის მეუღლე და შვილები; მას დაებადებოდა კითხვა, როგორ



შეეძლოთ მათ გავლენა მის გადაწყვეტილებაზე. თქვენ შეიძლება დარწმუნდეთ, რომ განსხვავებული მეცნიერული დისციპლინები სხვადასხვაგვარად ხსნიან ქცევის ერთსა და იმავე ელემენტებს. ანალიზის შემდეგი ეტაპი სწორედ *სოციოლოგიური* და არა სინამდვილის ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სხვა ხასიათის ინტერპრეტაციაა. (მონათესავე სოციოლოგიურ დისციპლინებზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

## 2. სოციოლოგიური მიდგომები

განსხვავებული ფაქტების ასახსნელად და შესასწავლად სოციოლოგია ხუთ ძირითად მიდგომას იყენებს.

1. პირველია *დემოგრაფიული* მიდგომა. სიტყვა „*დემოგრაფია*” ბერძნული სიტყვა „*დემოს*”-ისასგან მოდის რაც „ხალხს” ნიშნავს („*დემოკრატია*” - იგივე ფუძე აქვს). დემოგრაფია – მოსახლეობის, განსაკუთრებით შობადობის, სიკვდილიანობის, მიგრაციის და ადამიანების ამასთან დაკავშირებული საქმიანობის შესწავლაა. მაგალითად, მესამე სამყაროს ერების დემოგრაფიული ანალიზი მოგვცემდა მათი ეკონომიკური ჩამორჩენილობის მიზეზის ახსნას, რომ ისინი იძულებული არიან საშუალებების დიდი ნაწილი სწრაფად მზარდი მოსახლეობის გამოკვებაზე დახარჯონ (უფრო დეტალურად დემოგრაფიული თავისებურებების ასპექტებს განვიხილავთ 8 და 18 თავებში).

2. მეორე მიდგომაა *ფსიქოლოგიური*. ადამიანის ქცევას ისადამიანის, როგორც პიროვნებისადმი მისი მნიშვნელობის თვალსაზრისით აგვიხსნის. შეისწავლება მოტივები, აზრები, ჩვევები, სოციალური განწყობა, ადამიანის შეხედულება საკუთარ თავზე. ასეთი მიდგომა ახასიათებს ფსიქოლოგიას, მაგრამ ის ასევე დამკვიდრდა სოციოლოგიაში. სოციალური ფსიქოლოგები მრავალ პრობლემებს შეისწავლიან, მათ შორის ისეთებს, როგორებიცაა თუ როგორ ყალიბდება სოციალური განწყობა, სოციალიზაციის პროცესში საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობა, პანიკასა და არეულობების სიტუაციებში განწყობის ფორმირება და გავრცელება (დეტალურად ეს საკითხები განიხილება 4,5 და 19 თავებში).

3. *კოლექტივისტური* მიდგომა გამოიყენება, როდესაც ჩვენ ვსწავლობთ ორ ან მეტ ადამიანს, რომლებიც ჯგუფებს ან ორგანიზაციებს ქმნიან. როდესაც სოციოლოგი შეისწავლის ისეთ პირველად ჯგუფებს, როგორიცაა ოჯახი, ისეთ ფორმალურ ორგანიზაციებს როგორებიცაა არმია ან კომპანია „ჯენერალ მოტორსი”, ისენი ინდივიდების კოლექტივებად ითვლებიან. მკვლევარს შეუძლია ასეთივე მიდგომა გამოიყენოს ოჯახის შესწავლისას, როდესაც ეს ოჯახიჰავაის კუნძულებზე მოგზაურობას გეგმავს . მათ შეუძლიათ განიხილონ მოვლენათა თანმიმდევრობა, რომელთაც ხელი შეუწყვეს დასასვენებელი ადგილის შერჩევას და შეეცადონ აქ გარკვეული კანონზომიერებ ადაიჭირონ. მათ შეუძლიათ ასევე შეისწავლონ ოჯახის წევრებს შორის კომუნიკაციის პროცესი და გააანალიზონ, თუ როგორ შეუწყო ხელი საბოლოო გადაწყვეტილებას ძალაუფლების გავრცელებამ ოჯახში. ქონდა თუ არა ოჯახის ერთ



რომელიმე წევრს სხვებზე მეტი ძალაუფლება? თუ ქონდა, რატომ? და როგორი გავლენა ქონდა მას მოვლენათა სვლაზე?

მოცემული მიდგომა შეიძლება ჯგუფების, ბიუროკრატიული ორგანიზაციებისა და სხვადასხვა გვარის ერთობების შესწავლისას იქნას გამოყენებული. ის დაესმარება სოციოლოგს გაანალიზოს კონკურენცია პოლიტიკურ პარტიებს შორის, რასობრივ საფუძველზე არსებული კონფლიქტები, მოქიშპე ჯგუფები. ის დაგვეხმარება აგრეთვე გავიგოთ, თუ როგორ ხდება ერთი კლასის, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, ან ასაკის, სქესის მიხედვით ადამიანთა გაერთიანება საკუთარი ინტერესების დასაცავად. გარდა ამისა ეს მიდგომა მნიშვნელოვანია კოლექტიური ქცევის შესწავლისას, მაგალითად ბრბოს, აუდიტორიის რეაქციის, აგრეთვე საზოგადოებრივი მოძრაობების, როგორებიცაა ფემინიზმი, ბრძოლა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის (ამ საკითხებზე ვისაუბრებთ 5,6,8,9,12 და 19 თავებში).

4. მეოთხე მიდგომა ავლენს *ურთიერთმიმართებებს*. საზოგადოებრივი ცხოვრება არა მასში მონაწილე ცალკეული ადამიანების მიხედვით, არამედ მათ შორის მათივე როლებით გაპირობებული ურთიერთობებით განიხილება. როლი ეწოდება ქცევას, რომელსაც ადამიანისაგან მოელიან, როდესაც მას გარკვეული პოზიცია უკავია ჯგუფში. მაგალითად, მსხვილი კორპორაციის კადრების განყოფილებაში თქვენ ღიმილით შეგხვდებით მოსამსახურე, ჩამოგართმევთ პალტოს, შემდეგ მდივანი მოგაწვდით ანკეტას და შეატყობინებს თქვენს მოსვლას. და ბოლოს, გაგესაუბრებათ განყოფილების უფროსი. დავადგენთ რა ჯგუფის შიგნით არსებულ როლებს, ჩვენ შევძლებთ გამოვავლინოთ ურთიერთობა ჯგუფის წევრებს შორის და მაშასადამე, გავანალიზოთ მისი სტრუქტურა.

ჩვენს საზოგადოებაში ასობით როლი არსებობს: პოლიტიკოსის, ამომრჩეველის, პატრონის, მოსამსახურის საქმიანი ადამიანის, მომხმარებლის, პოლიციელის, ტუსაღის და ა.შ. ადამიანთა ქცევები ამ როლების შესაბამისად გარკვეული სახით ხორციელდება არა მხოლოდ შეყვარებულებთან ან ოჯახის დონეზე, არამედ ისეთი ძირითადი სოციალური ინსტიტუტების დონეზეც, როგორიცაა, მაგალითად, განათლება და რელიგია.

5. მეხუთე, ბოლო მიდგომა კულტუროლოგიურია. ის გამოიყენება კულტურის ისეთი ელემენტების საფუძველზე ქცევების ანალიზისას, როგორებიცაა საზოგადოებრივი წესები (ნამდვილი ან ნაგულისხმევი) და საზოგადოებრივი ღირებულებები (გამომდინარე რელიგიური, პოლიტიკური და სოციალური ინტერესებიდან). კულტუროლოგიური მიდგომისას, ქცევის წესები ან ნორმები, განიხილებიან როგორც ფაქტორები, რომლებიც ცალკეული ადამიანების ქცევის წესებსა და ჯგუფების ქმედებებს განაპირობებენ. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით მკვლელობა, გაუპატიურება, გაქურდვა ისჯება. არსებობს აგრეთვე ნორმები, რომლებიც იგულისხმება: ადამიანს ნუ უცქერ ჯიქურ, ნუ უთითებ თითით, ნუ იღეჭები ღია პირით, თუ დღეობაზე მიდიხარ მიიტანე საჩუქარი.

იდეები, რომლებიც განსაზღვრავენ თუ რომელი საზოგადოებრივი მიზნებია სასურველი, კულტურის სხვა ასპექტს მიეკუთვნება. ეს იდეები ცნებებია, მათ ემახიან ღირებულებებს, ისინი განსაზღვრავენ სოციალურ ნორმებს. მაგალითად, საზოგადოებაში სადაც ადამიანის



სიცოცხლე ფასობს დამკვიდრებულია მკვლელობისა და სხვებისათვის ზიანის მიყენების განმკიცხავი მაღალი, მდგრადი ნორმები (კულტუროლოგიური მიდგომის სპეციფიკას განვიხილავთ 2,4,5 და 15 თავებში).

## ბაგირის გადაქაჩვა

სოციოლოგები იყენებენ ამ ხუთ მიდგომას და ისახავენ ორ ძირითად მიზანს: კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი; ამ მონაცემებისათვის დამახასიათებელი მსგავსებისა და განსხვავებისათვის საუკეთესო ახსნის ძიება. მონაცემების ანალიზის პროცესში სოციოლოგი შეისწავლის საზოგადოების სტაბილურობისა და ცვლილებების მიზეზებს. მართლაცდა, საზოგადოების შიგნით მუდმივად მიმდინარეობს ბაგირების გადაქაჩვა. სოციალური ძალების ერთი ძლიერი სისტემა მიისწრაფვის სტაბილურობისაკენ, საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და სხვა ასპექტების შენარჩუნებისაკენ. ძალების მეორე სისტემა მიისწრაფვის ცვლილებებისაკენ - ძველის დარღვევისა და ახალი საზოგადოებრივი ფორმების შექმნისაკენ. საზოგადოებისა და მისი ინსტიტუტების სხვადასხვა დონეზე შესწავლისას ჩვენ მრავალ კონტექსტში შევნიშნავთ ამ დამაბულ პროცესს.

## სოციოლოგიური თვალსაზრისები

ხუთი სოციოლოგიური მიდგომა, რომლებზეც ახლახან ვსაუბრობდით, გვიჩვენებენ თუ რამდენად დიდია გამოკვლევების სფერო სოციოლოგიაში. სწორედ ამიტომ სოციოლოგიაში ადგილი აქვს სპეციალიზაციას, ზოგიერთი მათგანი იკვლევს ბიუროკრაციას, სხვები განსხვავებულ სოციალურ ინსტიტუტებს, მაგალითად, ოჯახს ან რელიგიას, მესამენი აანალიზებენ ურთიერთობებს სოციალურ კლასებს შორის, და ბოლოს, მეოთხენი სწავლობენ მასობრივი კულტურის მოვლენებს.

სოციოლოგები განსხვავდებიან არა მხოლოდ კვლევის სფეროების მიხედვით; მათ აქვთ განსხვავებული შეხედულებები იმაზე, თუ რა უწყობს ხელს საკვლევი მონაცემების მიღებას, ე.ი. რომელ ფაქტორებს აქვთ მეტი ზემოქმედების უნარი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ეს განსხვავებები ასახულია ამ წიგნის თითქმის ყოველ თავში, ახლა კი ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ძირითად სადავო საკითხებს.

სოციოლოგები საზოგადოებას ორ, მიკრო და მაკრო დონეზე იკვლევენ. *მიკროსოციოლოგია* შეისწავლის ადამიანთა ურთიერთობებს ყოველდღიურ ცხოვრებაში - ინტერაქციას, მათ ურთიერთქმედებებს. ამ კუთხით მოღვაწე მკვლევარები თვლიან, რომ სოციალური მოვლენების გაგება შესაძლებელია მხოლოდ იმ საზრისების ანალიზის საფუძველზე, რომლებსაც თვით ადამიანები ანიჭებენ ამ მოვლენებს ერთმანეთთან ურთიერთობების პროცესში. მათი კვლევის მთავარი თემაა - ინდივიდების ქცევა, მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები, მოტივები, მნიშვნელობა, რომლებიც განსაზღვრავენ ურთიერთობებს ადამიანებს შორის და რომლებიც, თავის მხრივ საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებზე ან მის სტაბილურობაზე ზემოქმედებენ.



მაკროსოციოლოგია ძირითად ყურადღებას ქცევის მოდელებს უთმობს, რაც ნებისმიერი საზოგადოების არსის წვდომაში ეხმარებათ. ეს მოდელები, რომელთაც სხვაგვარად სტრუქტურებს ვეძახითისეთ სოციალურ ინსტიტუტებს გულისხმობენ, როგორებიცაა ოჯახი, განათლება, რელიგია, ასევე პოლიტიკური და ეკონომიკური წყობა. ადამიანები დაბადებიდანვე ჩართულნი არიან სოციალური სტრუქტურების მოცემულ სისტემაში, მათ დიდ გავლენას განიცდიან. მაკროსოციოლოგი ძირითად ყურადღებას საზოგადოების სხვადასხვა ნაწილების ურთიერთობის შესწავლას უთმობს, ისინი ცდილობენ ასევე გაიგონ თუ როგორ იცვლებიან ეს ურთიერთობები.

### 3. მიკრო და მაკრო სოციოლოგიური თეორიები

#### მიკროსოციოლოგიური თეორიები

სოციოლოგებმა საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობების აღწერისა და ახსნის მიზნით ჩამოაყალიბეს რიგი თეორიები. ჟორჯ ჰომანსი (1973) თვლის, რომ ადამიანთა ურთიერთობების გაგება შეიძლება წახალისებისა და დასჯის პრინციპების საფუძველზე – ადამიანები მზად არიან გაიმეორონ ქმედებების ის მოდელები, რომელთა გამო ისინი უახლოეს წარსულში ამა თუ იმ ფორმით იქნენ დაჯილდოებულნი (ქება, აღფრთოვანება, სიყვარული, ფული და ა.შ.).

ჰაროლდ ჰარფინკელმა (1967) შექმნა ეთნომეთოდოლოგიის თეორია, სადაც მთავარი ყურადღება ეთმობა რწმენაზე დაფუძნებული წესებისა და ცნებების შესწავლას, რომლებიც ადამიანებს შორის ურთიერთობების პროცესში განსაზღვრავენ მათ ქცევებს. ერვინ გოფმანის (1959) თვალსაზრისით, ცხოვრება თეატრსა ჰგავს, და მან ადამიანთა ურთიერთობები აღწერა „მენჯემენტის შთაბეჭდილებების“ ტერმინებში. გოფმანის აზრით ადამიანები სიცოცხლეში, როგორც მსახიობები სცენაზე როლებს თამაშობენ, რომლებსაც ცნობიერად იღებენ საკუთარ თავზე, რათა მოახდინონ შთაბეჭდილება და გავლენა სხვა ადამიანებზე.

მიკროსოციოლოგიურ დონეზე სხვა მნიშვნელოვანი მიდგომა იწოდება სიმბოლურ ინტერაქციონიზმად. ამ მიდგომის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ადამიანები გარე სამყაროს ზემოქმედებაზე არ რეაგირებენ უშუალოდ, მსგავსად ბაყაყებისა, რომლებიც როგორც კი გაიგონებენ ბუზის ბზუილს ავტომატურად აკეთებენ დამჭერ მოძრაობებს ენით. ნაცვლად ამისა ადამიანები მათზე ზემოქმედების მქონე სტიმულებს ანიჭებენ განსაზღვრულ მნიშვნელობებს და რეაგირებენ, პირველ რიგში, ამ მნიშვნელობებსა და სიმბოლოებზე და არა უშუალოდ გარე სამყაროს სტიმულებზე. სიმბოლო, რომლებზეც რეაგირებენ ადამიანები შეიძლება იყოს სიტყვა, საგანი, დისტანცია ურთიერთობაში მყოფ ადამიანებს შორის, სახის გამომეტყველება, ქცევები.

სიტყვა „სდექ“, ან რაიმე სხვა, ჩაწერილი ლამაზ სამკუთხედში და დაკერებული მოდურ ჯინსება ან პერანგზე, თავის ოდნავი დაქნევა რომლითც მეგობარს ანიშნებენ წასვლის დრო არისო, ასევე წარმოადგენენ სიმბოლოებს. ადრინდელი გამოცდილება და სიმბოლოების





მნიშვნელობის ურთიერთგაგება უმეტეს შემთხვევაში აუმჯობესებს ურთიერთობას. მაგრამ ზოგჯერ სიმბოლოების მნიშვნელობა გაუგებარია. ასეთ შემთხვევებში ადამიანის ქცევები ძნელად ასახსნელია. როდესაც უცნობი საუბარს გააბამს თქვენთან, თქვენ ცდილობთ ჩაწვდეთ მისი ქცევის აზრს. იქნებ მას თქვენი მოტყუება სურს? ან მისი ინტერესი თქვენდამი გამოწვეულია რომანტიკული მიზეზებით? ან შეიძლება ეს ადამიანი დახმარებას საჭიროებს? რამდენადაც ჩვენ არაფერი არ ვიცით უცნობზე, ჩვენ ვცდილობთ გავიგოთ მისი სიტყვების აზრი, მისი ქმედების მოტივები, რათა პასუხად სწორი რეაქცია გვქონდეს.

სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორიის მომხრეები ანალიზებენ ადამიანების ქმედებებს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ისინი ააშკარაებენ იმ მნიშვნელობებს, რომლებსაც ადამიანები ანიჭებენ თავის ქცევებს და ამ მნიშვნელობების გამპირობებელ ფაქტორებს. სიმბოლური ინტერაქციონიზმსა და მიკროსოციოლოგიის სხვა კონცეფციებს ჩვენ განვიხილავთ ამ წიგნის მე - 5 - ე თავში.

### **მაკროსოციოლოგიური თეორიები**

მაკროსოციოლოგიური დონის მკვლევარები, როგორც წესი, ორი ურთიერთკონკურენტული ძირითადი თეორიებიდან: ფუნქციონალიზმისა და კონფლიქტების თეორიიდან ემხრობიან ერთ - ერთს.

### **საზოგადოება, როგორც ცოცხალი ორგანიზმი: ფუნქციონალიზმი**

ფუნქციონალიზმის თვალსაზრისი საზოგადოებასა და საზოგადოების სტრუქტურაზე პირველად გამოხატა ჰერბერტ სპენსერმა XIX საუკუნეში. მან საზოგადოება შეადარა ცოცხალ ორგანიზმებს, ადამიანის სხეულს. ჩვენს სხეულში ყოველი ორგანო – გული, ტვინი კუჭი და ა.შ. – ასრულებენ ადამიანის სასიცოცხლოდ სპეციფიკურ ფუნქციას. ორგანიზმის სხვადასხვა ორგანოები ქმნიან ურთიერთდაკავშირებულ სისტემას. თუ ერთი ორგანო წყვეტს ფუნქციონირებას ან არასაკმარისად ინტენსიურია ორგანიზმს არ ძალუძს ნორმალური ფუნქციონირება და შეიძლება საერთოდ გამოვიდეს მწყობრიდან. ფუნქციონალიზმის მიმდევრები საზოგადოებას განიხილავენ როგორც მრავალი ნაწილისაგან შედგენილ ორგანიზმს: სამხედრო, ეკონომიკური, სამედიცინო, რელიგიური და ა.შ. საზოგადოების ყოველი ნაწილი ასრულებს თავის ფუნქციას და რაც უფრო მეტი განსხვავებაა ამ ფუნქციებს შორის მით უფრო ძნელია ერთი მათგანის მეორით ჩანაცვლება.

სპენსერმა საფუძველი ჩაუყარა ფუნქციონალიზმს, დიდმა ფრანგმა სოციოლოგმა ემილ დურკემმა ბრწყინვალედ განავითარა ის. დურკემი ასე მსჯელობს: თუ საზოგადოება შედგება მრავალი ნაწილებისაგან და ყოველ მათგანს გავლენა აქვს მთელი სისტემის ფუნქციონირებაზე, მაშინ საზოგადოებრივი მოვლენების ახსნა შეიძლება საზოგადოებრივ სისტემაში მისი ნაწილების ანალიზის მიხედვით. დურკემის თეორია ახსნის ყველა საზოგადოებრივ მოვლენას, მათ შორის დევიანტურ (ნორმებიდან გადახრილი) ქცევებსაც, თუმცა ერთი შეხედვით არც კი ჩანს მისი სოციალური ფუნქცია. მე - 7 - ე თავში შევიტყობთ,



რომ დურკემის აზრით სოციალურად აღიარებული მიზნებისა და ღირებულებებიდან გადახრას აქვს გარკვეული პოზიტიური მნიშვნელობა. მაგალითად, მკვლევლობა ადამიანებს ამღვებს შესაძლებლობას დადებითად შეაფასონ წესები, რომლებიც კრძალავს მკვლევლობას და მკვლელის დასჯით ისინი გამოხატავენ თავიანთ თანხმობას ამ წესების მიმართ.

თანამედროვე ფუნქციონალისტები – ტალკოტ პარსონსი, რობერტ მერტონი და კინგსლი დევისი – სპენსერისა და დურკემის მიმდევრები არიან. მათი ძირითადი მიდგომა მდგომარეობს საზოგადოების ნაწილების განსაზღვრაში, მათი დადებითი და უარყოფითი ფუნქციების გამოვლენაში, მათ ისეთ გაერთიანებაში, რომელიც იძლევა საზოგადოების, როგორც ორგანული ერთიანობის სურათს. ქვემოთ მოყვანილი ხუთი პუნქტი ასახავს თანამედროვე ფუნქციონალიზმის თეორიულ ჩარჩოებს.

1. საზოგადოება – ეს არის ერთ მთლიანობად შეკრული ნაწილების სისტემა.
2. საზოგადოებრივი სისტემები ინარჩუნებენ მდგრადობას, რადგან მათში არსებობს კონტროლის ისეთი შინაგანი მექანიზმები, როგორც სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო.
3. დისფუნქცია, რა თქმა უნდა არსებობს, მაგრამ მათი დაძლევა ხდება თავისთავად და ბოლოს და ბოლოს მკვიდრდებიან საზოგადოებაში. მაგალითად, 60-იანი წლების რადიკალებმა და ჰიპებმა ბევრი რამ შეცვალეს ჩვენს საზოგადოებაში: გარე სამყაროსადმი ახალი მიდგომა, უნდობლობა უმაღლესი ძალაუფლებისადმი, ქალისა და მამაკაცის ჩაცმულობის თავისუფალი სტილი, მაგრამ დღეს, 20 წლის მერე, რადიკალები და ჰიპები ჩაყლაპა ისტებლიშმენტის გარემომ, რომელშიც ისინი შევიდნენ, გახდნენ იურისტები, პედაგოგები, ბირჟის მაკლერები.
4. ცვლილებებს ჩვეულებრივ აქვს თანდათანობითი და არა რევოლუციური ხასიათი.
5. სოციალური ინტეგრაციას ანუ იმის შეგრძნებას, რომ საზოგადოება არის სხვადასხვა ძაფებისაგან შემდგარი ძლიერი ქსოვილი, ქმნის ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობის თანხმობა დაიცვან ღირებულებების ერთი და იგივე სისტემა. მაგალითად, ინგლისელები ეთანხმებიან მონარქიის აუცილებლობას; აშშ თანაბარი შესაძლებლობების პრინციპების აღიარება ქვეყნის უმრავლესობის მსოფლმხედველობაა. ღირებულებათა ეს სისტემა – ყველაზე საიმედო საყრდენია საზოგადოებრივი სისტემისათვის (დარენდორფი, 1959).

## მდიდრები და ღატაკები; კონფლიქტის თეორია

კონფლიქტის თეორია ძირითადად ჩამოყალიბდა კარლ მარქსის ნაწარმოებების საფუძველზე, რომელსაც მიაჩნდა, რომ კლასობრივი კონფლიქტი ჩადებულია საზოგადოების საფუძველში. კლასობრივი კონფლიქტი ჩნდება იმიტომ, რომ ადამიანების გაყოფილი არიან განსხვავებულ კლასებად, რაც ასახავს მათ მდგომარეობას ეკონომიკურ სისტემაში. მარქსის თვალსაზრისით ბურჟუაზიური საზოგადოების ძირითადი კლასებია კაპიტალისტები და დაქირავებული მუშები. ამ ორ კლასს არ გააჩნიათ საერთო ღირებულებები, კაპიტალისტები მისწრაფიან



იბატონონ მუშებზე და ექსპლოატაცია გაუწიონ მათ. შედეგად აღნიშნული კლასები მუდმივად მტრობენ ერთმანეთს.

მარქსს მიაჩნდა, რომ პოლიტიკური კონფლიქტების იმრავლესობის საფუძველია კლასობრივი ბრძოლა. მან ივარაუდა, რომ ექსპლუატირებული კლასი აღდგება და რევოლუცია გარდაქმნის საზოგადოებას. მარქსის თეორიის თანახმად კლასობრივი ბრძოლა არის ისტორიის მამოძრავებელი ძალა. (ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით მარქსის თეორიის ზოიერთ ასპექტებს 9,15 და 20 თავებში). ჩვენს საუკუნეში შეიქმნა კონფლიქტების რამდენიმე თეორია. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თანამედროვე თეორიად ითვლება გერმანელი სოციოლოგის რალფ დარენდორფის კონცეფცია. დარენდორფი უარყოფს მარქსის იდეას იმის შესახებ, რომ საზოგადოების ძირითადი კონფლიქტში მყოფი ჯგუფები - ესაა კლასები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ეკონომიკური ნიშნების მიხედვით. დარენდორფის აზრით, კონფლიქტის მთავარი მიზეზი ის ფაქტია, რომ ადამიანებს აქვთ ძალაუფლება მეორე ადამიანზე. ძირითადი კონფლიქტები ხდება იმათ შორის ვისაც აქვს ეს ძალაუფლება და ვისაც ის არა აქვს.

დარენდორფმა ჩამოაყალიბა კონფლიქტის თეორიის ძირითადი დებულებები.

1. ნებისმიერი საზოგადოების მთავარი განმასხვავებელი ნიშნებია ბატონობა, კონფლიქტი და დათრგუნვა.
2. საზოგადოებრივი სტრუქტურა ეფუძნება ადამიანთა ერთი ჯგუფის ძალაუფლებას მეორეზე, მაგალითად, მუშებზე მეწარმეთა, ჯარისკაცებზე ოფიცრებისა, სტუდენტებზე პედაგოგების და ა.შ.
3. თითოეულს ამ ჯგუფთაგან აქვთ საკუთარი ინტერესები, მიუხედავად იმისა ჯგუფის წევრებს გაცნობიერებული აქვს ეს თუ არა; სხვადასხვა ჯგუფების ინტერესები განსხვავებულია და წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან. მაგალითად, კონფლიქტი შეიძლება გაჩნდეს მოგების მსურველ საქმიან ადამიანებსა და ბუნების დაცვის მოძრაობის აქტივისტებს შორის, რომელთაც აინტერესებთ ჰაერისა და წყლის სისუფთავე.
4. როდესაც ადამიანები გააცნობიერებენ თავიანთ საერთო ინტერესებს, მათ შეუძლიათ შექმნან საზოგადოებრივი კლასი, რაც შეიძლება გამოვლინდეს პროფკავშირულ მოძრაობაში, პოლიტიკური პარტიის ლობის სახით და ა.შ.
5. კლასობრივი კონფლიქტი მწვავედება თუ: მთელი ძალაუფლება მოქცეულია რამოდენიმე ადამიანის ხელში, ხოლო დანარჩენები აბსოლუტურადად უუფლებონი არიან; უუფლებოებს ძალაუფლებისაკენ გზები გადაკეტილი აქვთ; ადამიანებს თავისუფლად შეუძლიათ პოლიტიკური ჯგუფების შექმნა (დარენდორფი, 1959).

## შედარება და კონტრასტი

ფუნქციონალიზმი და კონფლიქტების თეორია არსებითად განსხვავდებიან. ფუნქციონალისტები, ჩვეულებრივ, საზოგადოებას განიხილავენ, როგორც სავსებით მდგრად და ერთ მთლიანობას, კონფლიქტის თეორიის წარმომადგენლებს კი მიაჩნიათ, რომ აქ



მუდმივად მიმდინარეობს ცვლილებები და ადგილი აქვს კონფლიქტებს. ფუნქციონალისტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ზოგადი ღირებულებების მიმართ საზოგადოების ყველა წევრის თანხმობას, ხოლო კონფლიქტის თეორიის წარმომადგენლები ძირითადად ყურადღებას უთმობენ საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ მეორის დათრგუნვას.

ორივე თეორიას აქვს თავისი ნაკლოვანებები. ფუნქციონალისტები უგულვებელყოფენ იმ ფაქტს, რომ საზოგადოებების უმრავლესობებში არასოდეს არ მიიღწეოდა სრული თანხმობა ღირებულებების საკითხებზე; კონფლიქტების თეორია ვერ არკვევს თუ როგორ ხერხდება მუდმივი ცვლილებების დროს საზოგადოებების შენარჩუნება და არსებობა. მაგალითად, აშშ ძირითადი პოლიტიკური პარტიები ვერ თანხმდებიან ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში, მაგრამ მიუხედავად განსხვავებისა შეხედულებებში, რესპუბლიკელებიც და დემოკრატებიც კომპრომისის წყალობით ყოველ წელს ახერხებენ ფედერალური ბიუჯეტის დამტკიცებას.

ამ თეორიებს შორის დავა გრძელდება და ალბათ არც შეწყდება უახლოეს ხანებში. მაგრამ, ეს არცაა აუცილებელი, რადგან ორივე მიდგომა არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ. რა თქმა უნდა, საზოგადოება ვერ იარსებებს ზოგიერთი ზოგადმიღებული ღირებულებების გარეშე და უნდა მიაღწიოს ინტეგრირების რაიმე დონეს, წინააღმდეგ შეთხვევაში ეა არ იქნებოდა საზოგადოება. მეორე მხრივ, სავსებით გასაგებია, რომ საზოგადოების შიგნით მრავალი ჯგუფი იმყოფება ერთმანეთთან კონფლიქტში, რომ ცვლილებები მუდმივია. უფრო სწორი იქნებოდა ამ ორი მიდგომის თეორიული გაერთიანება.

#### 4. სოციოლოგიური კვლევის მეთოდები

**ფაქტობრივი მონაცემების შეკრება.** ჩვენ შევხებით სხვადასხვა მიდგომებს, რომელთაც იყენებს სოციოლოგია და გავეცანით ზოგიერთ ძირითად სოციოლოგიურ თეორიას. დღეს, როდესაც სოციოლოგიის თეორიულ ასპექტებზე უკვე გვაქვს მეტ-ნაკლები შეხედულება, საჭიროა გავიგოთ თუ როგორ მუშაობენ სოციოლოგიები? როგორ ახერხებენ ისინი ფაქტობრივი მასალის შეკრებას? რაში მდგომარეობს სოციოლოგიური გამოკვლევა?

**ჰიპოთეზები და თეორიები.** გვაგონებს ხშირად იწყება მაშინ, როდესაც ინტუიცია გიკარნახებს ამა თუ იმ მოვლენის მიზეზს. მაგალითად, ჩემი სტუდენტი მარკი ინტუიციურად გრძნობდა, რომ განსხვავებები სტუდენტთა სოციალურ განწყობებში შეიძლება აიხსნას მათი მშობლების შემოსავლების მიხედვით.

ფაქტების ორ ჯგუფს (მაგალითად, გარკვეული სოციალური კლასის წევრობასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პოზიციას შორის) შორის მიზეზობრივი კავშირის შესახებ ვარაუდს ჰიპოთეზა ეწოდება. იპოთეზა ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ შესაძლებელი იყოს მისი უარყოფა ან დამტკიცება.

ჰიპოთეზები არ არსებობენ იდეებთან კავშირების გარეშე. ისინი ყოველთვის ეფუძნებიან ერთ ან რამდენიმე თეორიას. თეორიებად იწოდებიან მტკიცებები, რომლებიც შეიცავენ ურთიერთდაკავშირებულ ჰიპოთეზებს. მარკმა შეარჩია გარკვეული ჰიპოთეზები იმიტომ, რომ



თავად ემხრობოდა გარკვეულ შეხედულებებს ადამიანთა ქცევებსა და პოზიციებზე საზოგადოებრივი კლასის გავლენის შესახებ. მისი შეხედულებები სხვაგვარი რომ ყოფილიყო (მას რომ ძირითადი გავლენის შესაძლებლობა რელიგიისათვის მიენიჭებინა) ის ჩამოაყალიბებდა ჰიპოთეზების სხვა სისტემას, ან გამოთქვამდა ვარაუდს იმ მონაცემების კავშირების შესახებ, რომლებიც მან შეკრიბა.

მაშასადამე, სოციოლოგიური ცოდნის შემადგენელი ნაწილებია ფაქტები, ჰიპოთეზები და თეორიები. მარკის გამოკვლევაში ფაქტებია სტუდენტთა პასუხები. მისი ერთ-ერთი ჰიპოთეზის თანახმად სტუდენტების დამოკიდებულება თაღლითობისადმი კავშირშია მათი მშობლების განათლების დონესთან. ის ეყრდნობოდა თეორიულ წანამდღვრს, რომ სოციალური-კლასობრივი ინტერესები დიდად განაპირობებენ სტუდენტთა მსოფლმხედველობას.

სოციოლოგიურ მეთოდებად იწოდებიან ის წესები და საშუალებები, რომელთა დახმარებით დგინდება კავშირი ფაქტებს, ჰიპოთეზებსა და თეორიებს შორის.

შემდეგ განყოფილებაში ჩვენ მოკლედ განვიხილავთ ზოგიერთ მეთოდებს, დანართში მათ უფრო დეტალურად შევხებით.

**ცვლადები.** ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ სოციოლოგია მისწრაფის მეცნიერულად ახსნას საზოგადოება და საზოგადოებრივი ურთიერთობები. მარკი თავის გამოკვლევაში ცდილობდა აეწერა არა მხოლოდ სტუდენტების დამოკიდებულება სიცრუისადმი. ის ცდილობდა გამოკითხულთა პასუხები აეხსნა მათი მიკუთვნებულობით საზოგადოების რომელიმე კლასისადმი. მისი ნაშრომი, როგორც ყველა გამოკვლევები სოციალური მეცნიერებების სფეროში ეფუძნებოდა იმ ვარაუდს, რომ საზოგადოებრივ მოვლენებს აქვთ თავიანთი მიზეზები. ადამიანთა ამა თუ იმ დამოკიდებულებას თაღლითობისადმი აქვს თავისი მიზეზები.

ზუსტად ასევე, განსაზღვრული ფაქტორები განაპირობებენ ადამიანების გადაწყვეტილებებს ქორწინების შესახებ, ხმის მიცემას, რაიმეს თაყვანისცემას, პლაჟზე წასვლას ან აიდახოს შტატში გამგზავრევას. ასეთი მიზეზები რომ არ არსებობდეს იძულებული ვიქნებოდით გველიარებინა, რომ სოციალური ქცევები შემთხვევითია და აუხსნელი.

სოციოლოგები ცდილობენ დაადგინონ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, დაინახონ დამოკიდებულება ცვლილებებს შორის. ცვლადს ჩვენ ვუწოდებთ ცნებას, რომელიც სხვადასხვა მნიშვნელობებს ღებულობს. ასაკი ცვალებადი მოვლენაა. მას მთელი რიგი მნიშვნელობები აქვს: 6 თვე, 18 წელი, 47 წელი და ა.შ. მარკი სოციალური კლასის წევრობასა და სტუდენტთა მიმართებას სიცრუისადმი განიხილავდა, როგორც ცვლადებს. საზოგადოებრივი კლასის წევრობა მან განსაზღვრა შემოსავლებისა და განათლების ორი დინის გამოყოფით: მაღალი და უფრო დაბალი, შემდეგ სიცრუისადმი დამოკიდებულების გამოავლენისას დაეყრდნო კითხვებზე პასუხებს: რა უფრო დასაძრახია \_ გადასახადებზე თავის არიდება თუ დახმარების უკანონო მიღება. სოციოლოგიური გამოკვლევების უმრავლესობა ცდილობს



გამოავლინოს და გაზომოს ერთი სპეციფიკური მოვლენისათვის დამახასიათებელი ვარიაციები (მარკის გამოკვლევაში – დამოკიდებულება სიცრუისადმი), ხოლო შემდეგ ახსნას ეს ვარიაციები სხვა მოვლენის გავლენით (მოცემულ შემთხვევაში – საზოგადოებრივი კლასის წევრობით). პირველ მოვლენას ეწოდება *დამოკიდებული ცვლადი*, მეორეს, რომელიც ახსნის ან არის პირველის მიზეზი – *დამოუკიდებელი ცვლადი*. როდესაც სოციოლოგი წინასწარ ხვდება კავშირს დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის, ის აყალიბებს ჰიპოთეზას. მარკის გამოკვლევაში სტუდენტთა მიმართება სიცრუისადმი (დამოკიდებული ცვლადი) გაპირობებულია მათი მიკუთვნებულობით რომელიმე სოციალური კლასისადმი (დამოუკიდებელი ცვლადი). სხვა სიტყვებით, დამოკიდებულ ცვლადზე, ანუ ქცევაზე, გავლენა აქვს დამოუკიდებელ ცვლადს.

ვთქვათ, თუ ჩემი სტუდენტები წლის პირველ ნახევარში წარმატებით გაართმევდნენ თავს სწავლას, ხოლო მეორე ნახევარში მოეშვებოდნენ, მათი ნიშნები შეგვიძლია ჩავთვალოთ ცვლადებად. დამოუკიდებელ ცვლადად ამ შემთხვევაში უნდა მივიღოთ სწავლის წინა პერიოდის გამოცდილება. ორივე შემთხვევაში შეიძლება დავადგინოთ ერთი და იგივე მიზეზი, რომლებმაც გამოიწვია სტუდენტების რეაქცია ჩემს ლექციებზე. ალბათ, პირველ სემესტრში სტუდენტებს იზიდავდა ჩემი ლოიალური დამოკიდებულება და სტუდენტები კარგად სწავლობდნენ; სტუდენტები, რომლებმაც ჩემს ლექციებზე სიარული მეორე სემესტრიდან დაიწყეს და სხვა ლექტორებისაგან მიჩვეული იყვნენ მოულოდნელ გამოკითხვებსა და აუცილებელ დასწრებას, ჩემს ლოიალობაზე რეაგირება მოახდინეს სწავლის შესუსტებით.

## კვლევის მეთოდები

დროთა განმავლობაში სოციოლოგიამ მრავალგვარი მეთოდი შეიძინა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების გამოსავლენად. ჩვენ მათ მოკლედ შევხებით მოცემულ თავში, ხოლო დანართში დეტალურად განვიხილავთ.

**შერჩევითი განხილვა.** XIX საუკუნის შუა წლებში მრავალი ქვეყნის მთავრობები რეგულარულად ატარებდა მოსახლეობის თვლას ან აღწერას. დაწყებული 1790 წლიდან აშშ მოსახლეობის აღწერა ხორციელდებოდა ყოველ 10 წლიწადში. სოციოლოგიური გამოკითხვა აღწერია ანალოგიურია. ის გამოიყენა ჩარლზ ბუტმა, როდესაც იკვლევდა სიღარიბის დონეს ლონდონში და ფრედერიკ ლე პლეიმ, რომელიც იკვლევდა საფრანგეთის მშრომელთა კლასს. ამ და სხვა ევროპელი სოციოლოგების მიერ შემუშავებულ იქნა *შერჩევითი განხილვის* თანამედროვე მეთოდი. ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სისტემატურად იკრიბება მონაცემები ადამიანთა ქცევისა და განწყობის შესახებ და ეს კეთდება რესპონდენტების სპეციალურად შერჩეულ ჯგუფში, რომლებიც მოგვითხრობენ თავიანთ შეხასებ და გამოხატავენ თავიანთ აზრს სხვადასხვა საკითხების შესახებ.

დღეისათვის შერჩევითი განხილვა, ალბათ, ყველაზე ხშირად გამოიყენება სოციალურ მეცნიერებებში. ის შეიძლება გამოყენებულ იქნას სოციალური ფაქტების, როგორც აღწერის,



ასევე ახსნის მიზნით. მკვლევარი მონდომებით იწყებს შესასწავლი ადამიანების ჯგუფის (ან სხვა ერთობებისა, მაგალითად ოჯახის) დადგენას. ამ ჯგუფს ეწოდება გენერალური ერთობა. აქ შედის საზოგადოების ყველა წევრი, რომლებსაც ახასიათებს მკვლევარისათვის საინტერესო თვისება. შეიძლება შევარჩიოთ ნებისმიერი ნიშანი: დემოკრატიები, რომლებმაც ხმა მისცეს წინა არჩევნებში, 20 წლამდე ორსული ქალები, ზანგები, დეტროიტის პოლიციელები. სოციოლოგის მიერ შესწავლილი ერთობები – ეს არის ადამიანთა ჯგუფები, რომელთაც აქვთ ერთი ან რამოდენიმე საერთო თვისება. ხშირად ჯგუფი იმდენად დიდია, რომ თითოეულის განხილვა საჭიროებს დროისა და ფინანსების დიდ ხარჯებს. ამიტომ, პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, შემდეგ ეტაპზე მკვლევარი იწყებს განსახილველი გენერალური ერთობის შერჩევას – გამოყოფას. სწორად შერჩევის შემთხვევაში ვლტულობთ გენერალური ერთობისათვის დამახასიათებელ ადექვატურ მონაცემებს.

შერჩევის შემდეგ უნდა ჩამოყალიბდეს კითხვები შერჩეული რესპონდენტებისათვის. აუცილებელია გამოკითხვის შედეგების რეგისტრაცია, კლასიფიკაცია და დაჯამება (ჩვეულებრივ კომპიუტერის საშუალებით). შერჩევითი განხილვის მეთოდს დიდი უპირატესობები აქვს. ეს არის საუკეთესო საშუალება მიიღო რეპრეზენტაციული წარმოდგენა ადამიანების ქცევებისა და მათი ცხოვრებისეული პოზიციის შესახებ. მაგრამ, რადგანაც ამ შემთხვევაში ყველა პასუხები მიღებულია უშუალოდ რესპონდენტებისაგან, ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ ეს მეთოდი ბოლომდე ვერ წვდება პასუხების სიღრმეს.

**საველე გამოკვლევები.** აშშ სოციალური პირობების პირველ დიდ გამოკვლევებში მეცნიერები ადამიანებს აკვირდებოდნენ რეალური ცხოვრების პირობებში. ეს მეთოდი, ცნობილი საველე გამოკვლევების სახელით, პირვლად გამოყენებულ იქნა ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში „ჩიკაგოს სკოლის“ წარმომადგენლების მიერ, რომელიც (როგორც უკვე ცნობილია) 40-იან წლებამდე ბატონობდა ამერიკულ სოციოლოგიაში. დღესაც საველე გამოკვლევები არის სოციოლოგიური გამოკვლევების ერთ-ერთი მთავარი მეთოდი.

შერჩევით გამოკითხვასთან შედარებით საველე გამოკვლევებს აქვთ ერთი უპირატესობა. გამოკითხვისას მკვლევარი თხოვს ადამიანებს გაიხსენონ, თუ როგორ იქცეოდნენ ისინი და რას გრძნობდნენ, ადრე რომელიღაც სიტუაციაში. შედეგად, მიღებული მონაცემები მოწყვეტილია რეალურ ცხოვრებას. საველე გამოკვლევებში მკვლევარო მოხსნის ამ პრობლემას: ისინი იმყოფებიან მოქმედების ადგილზე და უშუალოდ აკვირდებიან მათთვის საინტერესო მოვლენათა სვლას. მაგალითად, კოლეჯის გუნდის წევრი სტუდენტი-სოციოლოგი უშუალოდ ხედავს, როგორ იყენებენ გუნდის წევრები დოპინგს და რა თქმა უნდა, მიიღებს უფრო რეალურ მონაცემებს, ვიდრე ის, რომელიც უბრალოდ ეკითხება ფეხბურთელებს დოპინგის შესახებ.

ყოველივე ამის გამო, საველე გამოკვლევებით მიღებული ინფორმაცია უფრო საიმედოა, ვიდრე გამოკითხვის შედეგად მიღებული. ამავე დროს, საველე გამოკვლევების მონაცემებიც შეზღუდულია, რადგანაც იხილავენ მხოლოდ ერთ ვითარებას. ამიტომ ერთი გუნდის მიერ



დოკინგის გამოყენების გამოკვლევა ბევრს გვეუბნება ამ ჯგუფის შესახებ, მაგრამ საეჭვოა ეს ინფორმაცია გამოგვადგეს სხვა გუნდებზე მისი გავრცელების შემთხვევაში.

## მეთოდები და გაზომვა

*ფარული დაკვირვება.* ვთქვათ, ჩვენ გვინტერესებს, ზრდის თუ არა ინფორმაცია ავიაკატასტროფების შესახებ ტრანსპორტის ამ სახეობის მიმართ ადამიანების შიშს. პასუხის მიღების ერთი საშუალებაა – დავეყრდნოთ მარტივ გამოკითხვას: ავიაკატასტროფის შემდეგ შევარჩიოთ მგზავრების ერთი ჯგუფი ჩიკაგოს აეროპორტში და მეორე ჯგუფი დროის იმ მონაკვეთში, როდესაც კატასტროფები არ ხდებოდა, შეიძლება შევადაროთ ორივე ჯგუფის სიმშვიდე მათივე სიტყვებზე დაყრდნობით. მაგრამ, კატასტროფების შემდეგ შიშის თემაზე კითხვებით პირდაპირი მიმართვა მგზავრებისადმი, ვერ მოგვცემს საიმედო შედეგებს. ადამიანებს ხშირად ასეთ გრძნობებზე საუბრის სურვილიც არა აქვთ, არა აქვთ სურვილი სუსტებად ჩათვალონ. ხშირად არც შეუძლიათ თავიანთი გრძნობების გამოთქმა, არც იმაზე საუბარი, რომ აფორიაქებული არიან.

ამასთან დაკავშირებით ფსიქოლოგებმა და სოციოლოგებმა შეიმუშავეს რიგი მეთოდები კატასტროფების ინფორმაციით გამოწვეული შიშის შესაფასებლად, რომლებიც ეფუძნებოდა ადამიანების ქცევებზე დაკვირვებებს და არა მათ პასუხებს დასმულ კითხვებზე. ერთ ასპირანტს უნდოდა შეემოწმებინა ჰიპოთეზა იმის შესახებ, თუ როგორ აისახება ეს შიში ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობაზე ჩიკაგოს აეროპორტში. მაგრამ მან ვერ მოახერხა ჩაეტარებინა ეს ექსპერიმენტი, რადგანაც აეროპორტის ბარები მუდმივად გადავსებული იყო მომხმარებლებით, ძირითადად იმიტომ, რომ მათი ფართობი ობიექტურად ვერ შეესაბამებოდა აეროპორტის მგზავრების მზარდ სიმრავლეს. ამ სიტუაციაში შეიძლება აღნიშნო მხოლოდ მგზავრების მზადყოფნა მოთმინებით დაელოდონ ზანტ ბარმენს.

ასპირანტი უკან არ იხევდა, მან გადაწყვიტა შეესწავლა თუ რა გავლენას ახდენს ინფორმაცია კატასტროფების შესახებ სალაროებში ავიაბილეთების რაოდენობის გაყიდვაზე. მან შეადარა რაოდენობრივი მონაცემები მგზავრების შესახებ ჩიკაგოს ორ აეროპორტში და დაადგინა, რომ, როგორც ჩანს, ინფორმაცია კატასტროფების შესახებ მხოლოდ დროის მოკლე მონაკვეთებზე ამცირებს მგზავრების რაოდენობას. შემდგომში სოციოლოგებმა იუჯინ უებმა და დონალდ კემპბელმა შეისწავლეს საჰაერო კატასტროფების გავლენა აეროპორტებში გაყიდული სადაზღვევო პოლისების რაოდენობის ზრდასა და ფასზე. ამგვარად, ადამიანების მოუსვენრობისა და წუხილის დონე კვლავ შემოწმდა არა მათი უშუალო გამოკითხვით, არამედ მათ ქცევებზე დაკვირვებით. თუ ბარების ტევადობა საკმარისი იქნებოდა ალბათ მოხერხდებოდა შიშის ინდექსის დადგენა სამი მაჩვენებლის მიხედვით: ცვლილებები ალკოჰოლური სასმელების, სადაზღვევო პოლისებისა და სამგზავრო ბილეთებით ვაჭრობაში. ასეთი მრავალგანზომილებიანი კვლევის შედეგები შეიძლება შედარებულ იქნას შიში შესახებ მგზავრების მონაყოლთან.





გამოკვლევა, რომლის დროსაც ადამიანებმა არ იციან, რომ ადგილი აქვს მათი ქცევების ანალიზს *ფარული დაკვირვება* ეწოდება. ეს მეთოდი მნიშვნელოვანია, რადგან ამცირებს მკვლევარის გავლენას ადამიანის ქცევებზე. ზოგიერთი სოციოლოგი, რომელიც ამ მეთოდს იყენებს თვლის, რომ აქ მიღებული შედეგები უფრო საიმედოა, ვიდრე გამოკითხვის შედეგები. *ფარული დაკვირვების* მეთოდის ეფექტურობა ვერ იცავს მას ერთი, ეთიკური პრობლემისაგან. შეიძლება დადგინდეს ცვლილებები ალკოჰოლური სასმელების, სადაზღვევო პოლისების, ბილეთების გაყიდვაში ისე, რომ არ შეეხო პიროვნებებს, \_ ამ შემთხვევაში ეთიკური პრობლემა მინიმუმზეა დაყვანილი. მაგრამ, როდესაც მონაცემებს აგროვებთ *კონკრეტულ ადამიანებზე*, რომელთაც არ იციან, რომ მათი ქცევები კვლევის ობიექტია, ჩნდება კითხვა ჩვენი ჩარევის შესახებ მათ პირად ცხოვრებაში. ეს განსაკუთრებით ნათელია ისეთი საჩოთირო საკითხების კვლევისას, როგორცაა თამბაქოს მოწევა, სმა, ნარკოტიკები ან სექსუალური ცხოვრება. მოკლედ, *ფარული დაკვირვების* მეთოდთან დაკავშირებით თავს იჩენს წინააღმდეგობა მეცნიერულ ღირებულებებს შორის, ე.ი. შედარებით ზუსტი და დასაბუთებული მონაცემებისაკენ სწრაფვა, და საზოგადოების ეთიკური ღირებულებები.

**ისტორიული ანალიზის მეთოდი.** დიდმა გერმანელმა სოციოლოგმა მაქს ვებერმა გამოიყენა კვლევის ისტორიული მეთოდი, როდესაც აანალიზებდა კავშირს რელიგიურ და სოციალურ ცვლილებებს შორის. ის დარწმუნებული იყო რომ პროტესტანტიზმში და განსაკუთრებით ჟან კალვინის (XVII ს.) მოძღვრებაში ჩადებულია გარკვეული მოწოდება თვითდისციპლინისაკენ, რაც აუცილებელი პირობაა საქმიანი წარმატებისათვის ამის დასამტკიცებლად მან ყურადღებით შეისწავლა დიდი პროტესტანტების ქადაგებები, განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა მათ აზრებს თავდადებული შრომის, თვითშეზღუდვის, დროისა და ფულის გონივრულად გამოყენების შესახებ.

ასევე აანალიზებდა ბენჟამინ ფრანკლინის ნაწარმოებებს, რომელიც დიდად აფასებდა საქმიან წარმატებებს. გარდა ამისა მან შეისწავლა რამოდენიმე რელიგიის ისტორია \_ მაგალითად, ინდოეთისა და ჩინეთის, \_ სადაც საქმიან წარმატებებს არ ექცეოდა ისეთი ყურადღება, როგორც პროტესტანტულ ევროპაში, და აღმოაჩინა, რომ ეს თემები არ გვხვდება ყველა რელიგიაში.

ჰიპოთეზების შესამოწმებლად ისტორიული დოკუმენტების გამოყენება მრავალი სოციოლოგისათვის კვლევის მნიშვნელოვანი მეთოდია. ისინი სწავლობენ მოსახლეობის წარსულში ჩატარებული აღწერის მასალებს, სასამართლო ოქმებს და საეკლესიო დავთრებში ჩანაწერებს, რათა გაიგონ როგორ იცვლება ოჯახების შემადგენლობა და მათი მიგრაციის ხასიათი. დიდ რევოლუციებში მონაწილე ადამიანთა ხასიათების თავისებურებების გასაგებად ისინი ეცნობიან პოლიციის არქივებს. ისტორიული მეთოდი მნიშვნელოვანია იმათთვის, ვისი აზრითაც წარსულის შესწავლა არა ნაკლებ ღირებულია საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების გასაგებად, ვიდრე მათი დღევანდელი მდგომარეობის კვლევა.



**ექსპერიმენტული გამოკვლევები.** XIX საუკუნის ბოლოსათვის სოციოლოგებმა დაიწყეს ბუნებათმეცნიერებებისა და ფსიქოლოგების მიერ ჩამოყალიბებული ექსპერიმენტული კვლევის პრინციპების გამოყენება. აღმოჩნდა, რომ ექსპერიმენტული კვლევის თავისებურება – სიტუაციის კონტროლირება – დიდ დახმარებას უწევს სოციოლოგს ადამიანთა მცირე ჯგუფების შესწავლის დროს. ეს მეთოდი დღემდე ფართოდ გამოიყენება, როდესაც სოციოლოგს საქმე აქვს ლიდერობასთან დაკავშირებულ პრობლემებთან, თანამშრომლობისა და კონკურენციის პირობებში ქცევის მოდელებთან. ასეთი გამოკვლევების ზოგიერთი შედეგები მოყვანილია მე-5-ე თავში. ექსპერიმენტული კვლევის არსის გასაგებად განვიხილოთ შემდეგი მაგალითი.

მკვლევარს უნდოდა გაეგო, მასწავლებლის შესახებ სტუდენტის შეხედულებაზე ახდენს თუ არა გავლენას ამ მასწავლებლის შარშანდელი სტუდენტების მსჯელობა ამავე მასწავლებლის შესახებ. ექსპერიმენტატორმა შეარჩია სტუდენტთა ორი ჯგუფი, რომლებშიც საკმაოდ მსგავსია სტუდენტთა რაოდენობა, ასაკი, ქალ-ვაჟთა შეფარდება. პირველ ჯგუფს ეუბნება, რომ მასწავლებლის შარშანდელი სტუდენტები ძალზე დაბალ შეფასებას აძლევს მასწავლებელს. მეორე ჯგუფს კი არანაირ ინფორმაციას არ აძლევს სტუდენტთა თვალსაზრისზე. მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ყოველ ჯგუფს სთხოვენ მასწავლებლის დახასიათებას. პირველი ჯგუფი ექსპერიმენტულია – მასზე მოახდინა გავლენა შარშანდელმა სტუდენტებმა, რომელიც დამოუკიდებელი ცვლადია. მეორე ჯგუფს *საკონტროლო* ეწოდება, დამოუკიდებელ ცვლადს მასზე გავლენა არ ქონია.

ან მარტივად. გამოიყენება არსებითად ორი იდენტური ჯგუფი. პირველი ლეზულობს სტიმულს (მაგალითად ინფორმაციას შარშანდელი სტუდენტებისაგან), მეორე კი არა. შედეგების შედარებისას სოციოლოგი აკეთებს დასკვნას სტიმულის გავლენის შესახებ.

**ცვლადების კონტროლი.** ჩვენს მიერ მოყვანილ მარტივ ექსპერიმენტში მკვლევარი დარწმუნდა, რომ ჯგუფები ანალოგიური არიან რაოდენობრივი შემადგენლობით, ასაკის მიხედვით და ქალ-ვაჟთა შესაბამისობით. ეს არის კონტროლის გამოყენების მაგალითი. ჯგუფები რომ განსხვავებულეები ყოფილიყვნენ ამას ექნებოდა გავლენა შედეგზე. მაგალითად, დიდი ჯგუფის სტუდენტები უფრო დაბალ შეფასებას მისცემდნენ მასწავლებელს, ვიდრე მცირე ჯგუფების სტუდენტები: მათ უფრო ნაკლებ ინტენსიური კონტაქტები აქვთ მასწავლებლებთან. თუ ჯგუფი რომელმაც მიიღო შარშანდელი სტუდენტებისაგან ინფორმაცია და ჯგუფი, რომელსაც ეს ინფორმაცია არ მიუღია განსხვავებული იქნებოდნენ რაოდენობრივად, მაშინ ჩვენ ვერ დავადგენდით თუ რამ განაპირობა განსხვავება შეხედულებებში – შარშანდელი სტუდენტების მიერ მიწოდებულმა ინფორმაციამ თუ ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობამ. რაოდენობრივი და სხვა ცვლადებით (მაგალითად ასაკით) ჯგუფების შერჩევისას, განსხვავების ეს ალბათური მიზეზები ჩვენ მიგვაჩნია მუდმივებად, ე.ი. ვაკონტროლებთ მათ და ვრწმუნდებით, რომ შარშანდელი სტუდენტების თვალსაზრისი – ერთადერთი დამოუკიდებელი ცვლადია (ალბათ განსხვავების საფუძველი) მოცემულ ექსპერიმენტში.



ამა თუ იმ სოციალური პრობლემის ექსპერიმენტული შესწავლისას მკვლევარს საქმე აქვს დამოუკიდებელი ცვლადების სიმრავლესთან, თანაც ბუნდოვანია მათი ერთმანეთთან კავშირი და კავშირი დამოკიდებულ ცვლადთან. კვლევის პროცესში აუცილებელია ცვლადების რაოდენობის შემცირება, მათი ერთმანეთისაგან იზოლირება და ამ გზით ყოველი მათგანის გავლენის განსაზღვრა. ეს ხორციელდება სპეციალური კონტროლის საშუალებით. ექსპერიმენტული კვლევის ჩატარებისას ეს არ წარმოადგენს განსაკუთრებულ სიმძნელეს: დამოუკიდებელი ცვლადი შეყავთ მხოლოდ ექსპერიმენტულ ჯგუფში, საკონტროლო ჯგუფში არა. ორივე ჯგუფიდან მიღებული შედეგების განსხვავება გვაწვდის ინფორმაციას დამოუკიდებელი ცვლადის შესახებ.

აღნიშნული სახის კონტროლის გამოყენება სხვაგვარი გამოკვლევების დროს, მაგალითად, შერჩევითი განხილვის დროს, ცოტა უფრო ძნელია. სტუდენტთა სიცრუისადმი დამოკიდებულების შესწავლისას მარკმა ორი კავშირი გამოავლინა:

1. მშობლების შემოსავალსა და სტუდენტთა თვალსაზრისს შორის;
2. მშობლების განათლებასა და სტუდენტთა შეხედულებებს შორის.

მიღებული პასუხების რელიგიური პოზიციების შესაბამისად, კლასიფიცირების შემთხვევაში მარკი ალბათ აღმოაჩინდა, რომ პროტესტანტების თვალსაზრისით უფრო დასაძრახი იქნებოდა დახმარებების უკანონო მიღება, ვიდრე გადასახადებისათვის თავის არიდება, მაშინ, როდესაც კათოლიკეები საწინააღმდეგო პოზიციაზე იქნებოდნენ.

მაგრამ შეიძლება კი რელიგიური მრწამსის მიზეზობრივ ფაქტორად მიღება? არის კი პროტესტანტიზმსა და კათოლიციზმში ისეთი რამე, რასაც შეუძლია გავლენა იქონიოს სტუდენტებზე აღნიშნულ ვითარებაში? იქნებ განსხვავება იმით არის გამოწვეული, რომ აშშ განათლების დონე და შემოსავალი ჩვეულებრივ პროტესტანტებს უფრო მაღალი აქვთ, ვიდრე კათოლიკეებს? სოციოლოგია ცდილობს პასუხი გასცეს ამგვარ კითხვებს და იყენებს ცვლადების კონტროლისათვის სპეციალურ მეთოდებს.

## 5. სოციოლოგია და სხვა სოციალური მეცნიერებები

სოციოლოგია საზოგადოებრივ მეცნიერებათაგან ერთ-ერთია, რომელიც შეისწავლის ადამიანის ქცევებს და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირებას. ცოდნის ამ სფეროთაგან ყოველს გააჩნია განმასხვავებელი ნიშნები, მაგრამ ხშირად ისინი ერთმანეთს ემთხვევიან.

*ანთროპოლოგიაში* გამოიყენება სოციოლოგიისათვის დამახასიათებელი მრავალი მეთოდი, მაგრამ ანთროპოლოგია შეისწავლის ძირითადად მცირე ზომის არადასავლურ ტომებს, მაშინ როდესაც სოციოლოგია იკვლევს თანამედროვე დიდ საზოგადოებებს ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. მაგალითად, ანთროპოლოგების შესწავლის ობიექტია ინდიელთა კვაკიუტლის ტომის „პოტჩატლის“ სახელით ცნობილი ცერემონიები, რომლის პროცესში



მამაკაცი აცხადებს თავის პრეტენზიებს უფრო მაღალი მდგომარეობის შესახებ და ანადგურებს თავის სიმდიდრეს.

ეკონომიკა - ეს არის წარმოების, განაწილებისა და მოხმარების განსხვავებული რესურსების კვლევა. ეკონომისტები ძირითად ყურადღებას უთმობენ ისეთი თემების შესწავლას, როგორებიცაა უმუშევრობა, ინფლაცია და საერთაშორისო ვაჭრობა. ეკონომისტებისათვის ტიპურია ინფლაციის გავლენის კვლევა მომხმარებლის შემსყიდველობით უნარზე.

პოლიტიკური მეცნიერება შეისწავლის ადამიანების ძალაუფლებაში მოსვლის გზებს და ასევე საზოგადოებაში ძალაუფლების განაწილებას. პოლიტოლოგია ძირითადად გართულია მთავრობის, პოლიტიკური პარტიების, საერთო ინტერესების მქონე ერთობების საქმიანობით, აგრეთვე ამომრჩეველთა ქცევის სპეციფიკის შესწავლით. მაგალითად, მათ შეუძლიათ დაადგინონ რატომაა, რომ ერთი და იგივე პირველადი ჯგუფების წევრები, როგორც წესი, ხმას ყოველთვის აძლევენ ერთსა და იმავე კანდიდატს.

და ბოლოს, ფსიქოლოგია - ეს არის ინდივიდუალური ქცევის მეცნიერული კვლევა. მაგალითად, ფსიქოლოგი ანალიზებს, თუ როგორ შეიძინეს ადამიანებმა მეტყველებისა და კითხვის ჩვევები. როდის მიმართავენ სწავლის პროცესში წახალისებასა და დასჯას; როდის ყალიბდება პიროვნების განმასხვავებელი ნიშნები და მიმართება გარე სამყაროსთან. ერთი ცნობილი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი ხაზს უსვამს ადამიანების მზადყოფნის დონეს დაქვემდებარებოდნენ ავტორიტეტის ნებას, მაშინაც კი, როდესაც სთავაზობდნენ უმწეო მსხვერპლზე ელექტრული დენით ზემოქმედებას.

**სოციოლოგია და საზოგადოება** როგორც ყველა მეცნიერი სოციოლოგიც მიზნად ისახავს გაზარდოს ცოდნა სამყაროს შესახებ, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. ეს ღირებულია არა მხოლოდ თავის თავად, არამედ მნიშვნელოვანია აგრეთვე თანამედროვე ცივილიზაციის განვითარებისათვის.

შეიძლება ისე ჩანდეს, რომ, რადგან სოციოლოგთა უმრავლესობა მუშაობს კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში, ისინი მოწყვეტილი არიან ბიზნესისა და პოლიტიკის სამყაროს. სტუდენტები ხშირად ადარებენ ერთმანეთს თავიანთ სწავლებას კოლეჯებში და რეალურ ცხოვრებას, და გამოთქმა „სპილოს ძვლის კომკები“ გულისხმობს მასწავლებელთა მოწყვეტას რეალურობიდან. ამ სტერეოტიპს შეცდომაში შევყავართ, სოციოლოგიასა და რეალურ სამყაროს შორის უამრავი კავშირებია.

**სოციოლოგია და საზოგადოებრივი პრობლემები.** პირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სოციოლოგიის განვითარებისათვის, ისევე, როგორც სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებებისათვის, საჭიროა გარკვეული პოლიტიკური კლიმატი, რომელიც ხელს შეუწყობს მის სრულყოფასა და აყვავებას. ახალი ცოდნის მისაღებად აუცილებელია კვლევის თავისუფლება, მისი შედეგების გამოქვეყნების თავისუფლება, მიუხედავად იმისა, როგორ შეხვდებიან მას, და ასევე დარწმუნებული უნდა იყო, რომ არ ექნება ადგილი რელიგიური და



პოლიტიკური მოტივებით დევნას. ტოტალიტარულ საზოგადოებაში სოციოლოგიის განვითარება და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებებისაც, პარალიზებულია ძალაუფლების ხშირი ჩარევისა და რეპრესიების გამი მისი მხრიდან. სოციოლოგიის განვითარებაზე უშუალოდ ზემოქმედებენ საზოგადოებრივი პრობლემები და კრიზისები. 30-იანი წლების დიდი დეპრესიის პერიოდში სოციოლოგები ძირითად ყურადღება უთმობდნენ უმუშევრობის კვლევას და მის გავლენას ოჯახურ ცხოვრებაზე; მეორე მსოფლიო ომის დროს სოციოლოგთა დიდი ნაწილი სწავლობდა პროპაგანდის როლს და მის გავლენას მოსახლეობის მორალურ ცნობიერებაზე.; შფოთიან 60-იან წლებში სოციოლოგების ინტერესი მიმართულია საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი მხარეების მიმართ, როგორებიც იყო სტუდენტური მოძრაობები და ბრძოლა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის. ჩვენს სინამდვილეში სოციოლოგები დიდ ყურადღებას უთმობენ სექსისა და ქალისა და მამაკაცის უთანასწორობის პრობლემებს. ეს მაგალითები ცხადყოფენ თუ როგორ ასახავს სოციოლოგია მთლიანობაში საზოგადოებრივ პრობლემებს. ბევრი მისი კერძო სფერო, მაგალითად კრიმინოლოგია, სიღარიბის სოციოლოგია, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქიკური ავადმყოფობის სოციოლოგია, ასევე მოწმობენ მის მჭიდრო კავშირს საზოგადოებრივ პრობლემებთან.

ამავე დროს, ის ფაქტი, რომ სოციოლოგია იკვლევს რაღაც მოვლენებსა და პროცესებს, ადასტურებს მასთან დაკავშირებული პრობლემების სერიოზულობას. აშშ გუნარ მირდალის მიერ ჩატარებულ რასობრივი ურთიერთობების კლასიკურ გამოკვლევებს, რომელთა შედეგები გამოქვეყნდა 1944 წელს, უზარმაზარი გავლენა ქონდა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ დამაჯერებლად აჩვენა ამ ქვეყანაში ზანგების ჩაგრული მდგომარეობა, არამედ იმიტომაც, რომ ცხადი გახდა ამ ვითარების პირდაპირი წინააღმდეგობა ამერიკაში გამოცხადებული თანასწორობის იდეებთან.

**სოციოლოგიის გამოყენება.** სოციოლოგიური ცოდნა მრავალი გზით შედის საზოგადოების ფართო ფენებში. ჯერ-ერთი, სპეციალისტთა მზარდი რაოდენობა იყენებს თავის სოციოლოგიურ მომზადებას ისეთ სამთავრობო დაწესებულებებში, როგორებიცაა, მაგალითად, მოსახლეობის აღწერის ბიურო (ბურეაუ ოფ ტჰე ჩენსუს), აგრეთვე ორგანიზაციებში, რომელთაც საქმე აქვთ ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებასთან.

მეორე, სოციოლოგებისა და სხვა საზოგადოებათმცოდნეების მიერ შემუშავებული მეთოდები შეისწავლება და გამოიყენება სხვადასხვა სფეროს სპეციალისტების მიერ. ნათელი მაგალითია - საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა \_ ძირითადად სოციოლოგებისა და სტატისტიკოსების მიერ დამუშავებული და გამოყენებული ისინი დიდ როლს ასრულებენ ბაზრისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევებში.

გარდა სოციოლოგიის გაოყენების უკვე მითითებული სფეროებისა, სოციოლოგთა და სხვა საზოგადოებათმცოდნეთა მოღვაწეობა უზრუნველყოფს ფართო ინფორმაციას, რაც აუცილებელია სოციალურ პოლიტიკაში გადაწყვეტილებების მისაღებად. მაგალითად, თუ აშშ



ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო გადაწყვეტს ლიტერატურის გავრცელების საკითხს, რომელიც ხელს შეუწყობდა ქორწინებაგარეშე ბავშვების რაოდენობის შემცირებას, სოციოლოგია მიაწვდის ინფორმაციას მოსახლეობის ჯგუფებზე, რომლებშიც აღინიშნება უკანონოდ დაბადებულთა მაღალი დონე, იმის შესახებ, რა ზომით მიაღწევს ამ ჯგუფებამდე ეს კომპანია, რამდენად ეფექტურად გააკონტროლებს ლიტერატურის გავრცელება შობადობის პროცესს. ბოლოს, სოციოლოგიური გამოკვლევები დაეხმარებიან სოციალური პოლიტიკის გატარების შემდეგ შედეგების შემოწმების საქმეში. მაგალითად, სოციოლოგებმა შეაფასეს „გონებრივი განვითარების“ პროგრამის შედეგები, რომელიც გამიზნული იყო სკოლებში წასვლის წინა პერიოდში ღარიბი ოჯახების ბავშვებისათვის.

ამ პროგრამის შესწავლამ აჩვენა, რომ ის ზრდიდა ბავშვების გონებრივი განვითარების კოეფიციენტს. მართალია, შემდგომმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ეს ბავშვები ორი წლის მერე აღარ განსხვავდებოდნენ ამ მაჩვენებლებით სხვა ბავშვებისაგან. მაგრამ სამაგიეროდ, სიყმაწვილეში ისინი უკვე იშვიათად ჩამორჩებოდნენ სწავლაში, ხშირად ამთავრებდნენ საშუალო სკოლას და უფრო მიისწრაფოდნენ უმაღლესი სასწავლებლებისაკენ, ვიდრე ამ პროგრამის გარეთ დარჩენილი ბავშვები. (ბრაუნი, გროტბერგი, 1980). ასეთი სახის გამოკვლევებს შეფასებითი ეწოდება და ის ფართოდ გავრცელდა ბოლო 15-20 წლის განმავლობაში.

## 6. თეორიული დილემები

სოციოლოგიაში ოთხი ძირითადი თეორიული მიმართულება არსებობს:

1. **ფუნქციონალიზმი** – კონტი, დიურკემი. რომელიმე სოციოლოგიური მოქმედების ან ინსტიტუტის ფუნქციის შესწავლა ნიშნავს შევისწავლოთ და გავაანალიზოთ მათი წვლილი საზოგადოების როგორც მთელის ფუნქციონირებისა და გავითარების უზრუნველყოფის საქმეში. საზოგადოება სუპერორგანიზაციაა.
2. **სტრუქტურალიზმი**. სოსიურის თანახმად ენის სტრუქტურის ანალიზი ნიშნავს იმ წესების ძიებას, რომლებიც შეადგენენ ენის უხილავ და განუყრელ საფუძველს. ენა და მნიშვნელობა. სოსიური ამტკიცებდა, რომ სიტყვათა მნიშვნელობები წარმოიქმნება ენის სტრუქტურების მეშვეობით და არა იმ ობიექტებით რომლებსაც ეს სიტყვები აღნიშნავენ.
3. **სიმბოლური ინტერაქციონიზმი**. სიმბოლური ინტერაქციონიზმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აქტიურ და შემოქმედ ინდივიდს, ვიდრე სხვა დანარჩენი თეორიული მიდგომები.
4. **მარქსიზმი**. მარქსისტები განსხვავებით სხვა სოციოლოგებისგან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ საზოგადოების კლასობრივ დაყოფას, კლასთა კონფლიქტს, აგრეთვე ძალაუფლებისა და იდეოლოგიის პრობლემებს.

### თეორიული დილემები



როგორია ამ ოთხი თეორიული პოზიციის შედარებითი ღირებულება? თითოეულ მათგანს ყავს მხურვალე მომხრეები, მაგრამ ცხადია რომ ზოგიერთ მიმართებაში ეს კონცეფციები ავსებენ ერთმანეთს.

**ფუნქციონალიზმი და მარქსიზმის ვერსიათა უმრავლესობა** კონცენტრაციას ახდენენ სოციალური ჯგუფებისა და საზოგადოებების ცხოვრების მსხვილ მასშტაბიანი ასპექტების შესწავლაზე. ისინი პრინციპულად ორიენტირებულნი არიან “დიდ საკითხებზე” – “როგორ უზრუნველყოფენ საზოგადოებები თავიანთ მთლიანობას”? ან “როგორია სოციალურ ცვლილებათა ძირითადი მიზეზები”?

**სიმბოლური ინტერაქციონიზმი**, პირიქით ყველაზე მეტად დაკავშირებულია სოციალური ცხოვრების პიროვნულ მხარეებთან.

**სტრუქტურალიზმი** სხვა მიდგომებისგან განსხვავდება იმით, რომ თავის ყურადღებას ძირითადად სოციალური საქმიანობის კულტურულ თვისებებზე ამახვილებს.

ამგვარად, სოციოლოგიური პრობლემების განხილვისას ზოგიერთი ხარისხით შეიძლება ვისარგებლოთ ყველა თეორიის ნაყოფით, თუმცა განსაზღვრულ მიმართებებში ისინი ღიად უპირისპირდებიან ერთმანეთს.

არსებობს ამ მიდგომების შესაბამისი ოთხი ძირითადი თეორიული დილემა - საკითხები, რომლებიც წარმოადგენენ მუდმივი კამათისა და დისკუსიის წყაროს

1. როგორი ხარისხით ვართ ჩვენ შემოქმედებითი საწყისების სრულფასოვანი მატარებლები, რომლებიც აქტიურად ვახდენთ საკუთარი ცხოვრების წარმოებას? შეიძლება ჩვენი მოქმედებების დიდი ნაწილი არის ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული ფუნდამენტური ძალების გავლენის შედეგი? ამ საკითხისადმი დამოკიდებულება ყოველთვის ყოფდა და ყოველთვის გაყოფს სოციოლოგებს. **სიმბოლური ინტერაქციონიზმი ხაზს უსვამს ადამიანური ქცევის აქტიურ შემოქმედებით შემადგენელ ელემენტებს. სამი დანარჩენი მიდგომა (მარქსიზმის ზოგიერთი ასპექტის გამოკლებით) აქცენტს აკეთებს ჩვენს საქმიანობაზე სოციალური ინსტიტუტების გავლენის მაიძულებელ ხასიათზე.**

2. მეორე დილემა დაკავშირებულია საზოგადოებაში არსებულ თანხმობასა (კონსენსუსს) და კონფლიქტთან. ზოგიერთი თვალსაზრისის თანახმად პირველ ადგილზე დგას საზოგადოებისთვის დამახასიათებელი წესრიგი და ჰარმონია. ამ შეხედულებების მომხრეები, მემკვიდრეობითობას და კონსენსუსს საზოგადოებათა ყველაზე ბუნებრივ მახასიათებლებად თვლიან, როგორ ძლიერადაც არ უნდა შეიცვალოს ისინი დროთა განმავლობაში. სხვა სოციოლოგები, ხაზს უსვამენ სოციალური კონფლიქტის სიღრმისეულ ბუნებას. ისინი თვლიან რომ საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის დამახასიათებელია ინტერესთა დანაწევრება – დანაწილება, დამაბულობა და ბრძოლა. მათი აზრით, მტკიცება რომ ადამიანები ძირითადად მშვიდობის მოყვარულნი, მშვიდობიანი თანაარსებობისკენ მიდრეკილების მქონე არსებები არიან, მცდარია. თვით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არის



ღია კონფრონტაცია, საზოგადოებაში არსებობას ინარჩუნებს ინტერესთა პრინციპული სხვაობა, რომელიც განსაზღვრულ მომენტში შეიძლება აქტიურ კონფლიქტად იქცეს.

3. მესამე დილემა დაკავშირებულია არა იმდენად ადამიანური საქმიანობის ან მთლიანად საზოგადოების მახასიათებლებთან, რამდენადაც **თანამედროვე სოციალური განვითარების თვისებებთან**. ბჭობა ეხება იმ ფაქტორებს რომლებიც გავლენას ახდენენ თანამედროვე საზოგადოებების თვით ბუნებაზე. ეს დილემა მომდინარეობს არამარქსისტული და მარქსისტულ მიდგომებს შორის განსხვავებებიდან. იგი კონცენტრირდება შემდეგი საკითხის გარშემო: როგორი ხარისხითა და დონით განსაზღვრავს თანამედროვე მსოფლიოს განვითარებას მარქსის მიერ გამოყოფილი ეკონომიკური ფაქტორები? მეორეს მხრივ, როგორი ხარისხით შეუძლია ალტერნატიულ ფაქტორებს(სოციალურს, პოლიტიკურს და კულტურულს) განსაზღვრონ სოციალური განვითარება თანამედროვე ეპოქაში.

4. არსებობს თეორიის მეოთხე ფუნდამენტური პრობლემა, რომელიც საეჭვოა წარმოშობილიყო ორთოდოქსალური კონცეფციის ჩარჩოებში, მაგრამ რომლის იგნორირება მეტად აღარ შეიძლება. პრობლემა ისაა რომ სოციოლოგიურ ანალიზში შემოყვანილ უნდა იქნეს **გენდერის გაგება**. წარსულის ყველა დიდი ფიგურა სოციოლოგიაში იყვნენ მამაკაცები, და თავის შრომებში ისინი პრაქტიკულად ყურადღებას არ უთმობდნენ იმ ფაქტს, რომ ადამიანური არსებები ქალებად და მამაკაცებად იყოფიან. მათ შრომებში ინდივიდები წარმოგვიდგება აბსტრაქტულ “მოქმედ პირებად”, რომლებიც “საშუალო სქესს” მიეკუთვნებიან და არა როგორც ქალები და კაცები. რამდენადაც ტრადიციულ სოციოლოგიაში გენდერის პრობლემის დაყენებისას არ არსებობს რაიმე საფუძველი, რომელსაც შეიძლება დაეყრდნოთ, ამიტომ ეს პრობლემა შესაძლოა დღეს ყველაზე რთულია ამ ოთხიდან.

გენდერის პრობლემასთან დაკავშირებული ერთერთი **თეორიული დილემა შემდეგია: შემოვიტანოთ თუ არა “გენდერი” როგორც სოციოლოგიური კატეგორია თეორიულ სოციოლოგიაში?** შეიძლება უკეთესი იყოს გენდერის საკითხების განხილვა თუ მას დავანაწევრებთ მთელ რიგ სპეციფიკურ ფაქტორებად, რომლებიც განსაზღვრავენ ქალების მაიპულაბელ ქცევას სხვადასხვა სიტუაციებში? ხოლო თუ სხვა მხრიდან მივუდგებით, არსებობს კი ყველა კულტურაში ის მახასიათებლები რომლები განასხვავებენ “ქალებისა და კაცების სოციალურ ქცევებს”? ანდა გენდერული დაყოფა შეიძლება ავხსნათ სხვა სოციალური განსხვავებების (მაგ. კლასობრივი დაყოფა) ტერმინებში?

**სტრუქტურა და მოქმედება**

ერთ - ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემა, რომელიც დიურკემმა წარმოჭრა და შემდეგ კი სხვებმა განავითარეს, არის ის, რომ საზოგადოება რომელიც გვაერთიანებს როგორც თავის წევრებს ნამდვილად უქმნის თუ არა ჩვენს საქმიანობას სოციალურ შეზღუდვებს. დიურკემი





ამტკიცებდა, რომ საზოგადოებას ინდივიდზე უპირატესობა პრიორიტეტად აქვს. იგი არის რაღაც უფრო მეტი ვიდრე ინდივიდუალურ აქტთა უბრალო ჯამი, ამიტომ სოციალური სტრუქტურის კვლევისას, ჩვენ ვეჯახებით “მყარი” და “მაგარი”, “ხისტი” თვისებების მქონე მახასიათებლებს, რომლებიც შეიძლება მატერიალური გარემოს სტრუქტურებს შევადაროთ. წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომელიც იმყოფება რამდენიმე კარიან ოთახში. ოთახის აგებულება ზღუდავს ინდივიდის შესაძლო მოქმედებების წრეს. მაგალითად კედლებისა და კარების განლაგება განსაზღვრავს გასასვლელისა და შემოსასვლელის განლაგებას. დიურკემის აზრით სოციალური სტრუქტურა მსგავსი წესით უკეთებს რეგლამენტირებას ჩვენს საქმიანობას. იგი საზღვრებს უწესებს ჩვენს ინდივიდუალურ მოქმედებებს. ჩვენთვის იგი ისეთივე “გარეგანია” როგორც დასახელებული ოთახის კედლები. მოცემული თვალსაზრისი დიურკემის მიერ გამოთქმულია მის ცნობილ შენიშვნაში:

„როდესაც ვმოქმედებ როგორც ძმა, ქმარი ან მოქალაქე, როდესაც ვასრულებ იმას, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული, მე ვასრულებ ჩემი პიროვნებისა და ჩემი ქმედებების მიღმა სამართლითა და ადათ – ჩვეულებებით დადგენილ მოვალეობებს. მაშინაც კი, როდესაც ისინი ეთანადებიან ჩემს საკუთარ გრძნობებს და შინაგანად გათავისებული მაქვს მათი რეალობა, ეს უკანასკნელი მაინც ერთგვარად ობიექტური რჩება, რადგან აღნიშნული მოვალეობები პირადად ჩემი ქმნადობის ნაყოფი კი არ არის, არამედ აღზრდის წყალობითაა შეძენილი. ამასთან, ხშირად ხდება, რომ ჩვენ ძირისძირობამდე არ ვიცნობთ ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობებს და იძულებული ვართ, კოდექსში ვეძიოთ ან რჩევა ვკითხოთ მათი განმარტების უნარის მქონე პირებს! ზუსტად ასევე, დაიბადა თუ არა, მორწმუნე ადამიანს თავისი რელიგიის მზამზარეული, ჩამოყალიბებული წეს – ჩვეულებები და მითითებები დახვდა; რაკი ისინი არსებობდნენ ამქვეყნად მის მოვლინებამდე, მაშასადამე, არსებობდნენ მის მიღმა. ლექსიკურ ნიშანთა მარაგი, რომლითაც ვსარგებლობ ჩემი აზრების გადმოსაცემად; სავალუტო სისტემა, რომელსაც ვიყენებ ვალების გადასახდელად; კრედიტის საშუალებები, რომლებითაც ვსარგებლობ ჩემ კომერციულ ურთიერთობებში; ჩვეულებები, რომელთაც ვიცავ ჩემ პროფესიულ საქმიანობაში და ა.შ. – ყოველივე ეს მოქმედებს მაშინაც, როცა მე მათ არ ვიყენებ. დაე, თუნდაც ეს ყოველივე განიხილონ სათითაოდ, საზოგადოების ყველა წევრის მიმართ, შედეგი ერთნაირი იქნება. მაშასადამე, აზროვნება, მოქმედება და გრძნობა ხასიათდებიან იმ ყურადსადები საშუალებებით, რომლებიც არსებობენ ინდივიდუალური ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, მის საზღვრებს მიღმა.“ (ე. დიურკემი სოციოლოგიის მეთოდის წესები. თბილისი, 2001, გვ. 36 – 37).

დიურკემის თვალსაზრისს მრავალი მომხრეები ყავს, მაგრამ იგი მძაფრ კრიტიკას იწვევს. რა არის “საზოგადოება” კითხულობენ კრიტიკოსები, თუ არა მრავალ ინდივიდუალურ აქტთა ერთობლიობა? თუ ჩვენ ვსწავლობთ რომელიმე ჯგუფს, ვხედავთ ამ დროს არა კოლექტიურ არსებას არამედ ინდივიდთა ჯგუფს, რომლებიც ერთმანეთთან იმყოფებიან სხვადასხვაგვარი წესით ურთიერთქმედებაში. ”საზოგადოება” არის მხოლოდ ინდივიდთა სიმრავლე, რომლებიც



ასრულებენ მოწესრიგებულ მოქმედებებს ერთმანეთის მიმართ. მოცემული თვალსაზრისის თანახმად ჩვენ ვმოქმედებთ მიზანდასახულ – თუ მიმართულად უკვე იმის ძალით, რომ ვართ ადამიანები და ვსულდგმულობთ, ვარსებობთ სამყაროში, რომელიც გამსჭვალულია კულტურული საზრისებით. ამ პოზიციის თანახმად სოციალური მოვლენები არ არიან სხვა ნივთების მსგავსი, რამეთუ დამოკიდებულნი არიან იმ სიმბოლურ მნიშვნელობებზე რომლებითაც ჩვენ აღვჭურვავთ ჩვენს მოქმედებებს – ვასაზრისიანებთ ჩვენს მოქმედებებს. ჩვენ ვართ არა საზოგადოების ქმნილებანი, არამედ მისი შემქმნელნი.

### **შეფასება**

საეჭვოა რომ ეს წინააღმდეგობა ოდესმე ბოლომდე ამოიწუროს რამდენადაც იგი არსებობს იმ მომენტიდან, რაც თანამედროვე მოაზროვნეებმა პირველად დაიწყეს ადამიანური საქმიანობის ახსნის სისტემური კვლევა-ძიება. უფრო მეტიც კამათი არ შემოისაზღვრებოდა მხოლოდ სოციოლოგიით. თქვენ თვითონ უნდა გადაწყვიტოთ რომელი პოზიციაა ჭეშმარიტებასთან ახლოს.

და მაინც არ უნდა გავაზვიადოთ მოყვანილ თვალსაზრისთა განსხვავებები. რასაკვირველია, ამ მიდგომებიდან არცერთს არ შეუძლია აბსოლუტური ჭეშმარიტების ფლობა, მაგრამ ძალიან ადვილად შეიძლება შევნიშნოთ კავშირი მათ შორის. ცხადია, ზოგიერთ სიტუაციაში უპირატესობა დიურკემის თვალსაზრისს აქვს. სოციალური ინსტიტუტები წინუსწრებენ ნებისმიერ ინდივიდს, მაგრამ ასევე უეჭველია ისიც, რომ მათ ჩვენი შეზღუდვის შესაძლებლობაც აქვთ. ასე, მაგალითად, მე არავარ ფულადი სისტემის გამომგონებელი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობს. მე ასევე არა მაქვს არჩევანი, ვისარგებლო იმით თუ არა, თუ მე მსურს მივიღო საქონელი და მომსახურება, რომელიც ფულზე იყიდება. სხვა ტრადიციული ინსტიტუტების მსგავსად ფულადი სისტემა არსებობს საზოგადოების ყველა ცალკეული წევრისგან დამოუკიდებლად, და რეგლამენტაციას უწესებს მის საქმიანობას.

მეორეს მხრივ, აშკარად მცდარია დებულება, რომ საზოგადოება ჩვენთან მიმართებაში იმდენადვე “გარეგანია” როგორც ფიზიკური სამყარო. ფიზიკური სამყარო არსებობას გააგრძელებს მაშინაც კი ერთი ადამიანიც კი რომ არ არსებულებო დედამიწის ზურგზე, მაგრამ იგივე ამტკიცო საზოგადოების შესახებ- ცხადი უაზრობაა. საზოგადოება არის გარეგანი ცალკეული ინდივიდების მიმართ, მაგრამ იგი თავისი განსაზღვრების თანახმად შეუძლებელია გარეგანი იყოს ყველა ინდივიდებისთვის.

უფრო მეტიც თუმცა დიურკემის “სოციალურ ფაქტებს” ძალუძთ ჩვენი საქმიანობის შეზღუდვა, მაგრამ მათ არ ძალუძთ მისი დეტერმინირება თუ განსაზღვრა. მე შემძლია ვიცხოვრო ისე რომ არ ვისარგებლო ფულით, თუ მტკიცედ გადაწყვეტ ამას, თუმცა ასეთი გადაწყვეტილებისას შესაძლოა ძალიან ცუდ ვითარებაში ჩავვარდე. ადამიანმა მუდმივად უნდა აკეთოს არჩევანი,



არა უბრალოდ პასიურად რეაგირებდეს მის გარშემო მიმდინარე ხდომილებებზე. “სტრუქტურული” და “საქმიანობითი” მიდგომებს შორის არსებული წინააღმდეგობების გადალახვას შეიძლება ხელი შეუწყოს იმის გაცნობიერებამ, რომ ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის მსგავსად ჩვენ აქტიურად ვქმნით და ვცვლით სოციალურ სტრუქტურას. მაგალითად, ჩვენს მიერ ფულადი სისტემის გამოყენება უმნიშვნელოა, მაგრამ იგი აუცილებელი წვლილია ამ სისტემის არსებობის შენარჩუნებაში. თუ ყველა ადამიანი, ანდა მათი უმრავლესობა, რომელიდაც მომენტში მიიღებს გადაწყვეტილებას თავი აარიდოს ფულით სარგებლობას, მაშინ ფულადი სისტემა დაიშლება.

### **კონფლიქტი და კონსესუსი**

კონფლიქტის და კონსესუსის პრობლემების შესახებ თვალსაზრისთა შედარება უპრიანი და მიზანშეწონილი იქნება თუ მას კვლავაც დიურკემიდან დავიწყებთ. დიურკემი საზოგადოებას განიხილავს როგორც ურთიერთდამოკიდებულ ნაწილთა ერთობლიობას. ფუნქციონალისტთა უმრავლესობას საზოგადოება წარმოუდგენიათ როგორც გაერთიანებული მთლიანობა, რომელიც ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სტრუქტურებისგან შედგება. ეს დებულება განსაკუთრებით ეხმიანება დიურკემის აზრს “სოციალურ ფაქტთა” მაიძულებელ “გარეგან” ხასიათზე. მაგრამ ანალოგია ამ შემთხვევაში ტარდება არა შენობის კედლებთან, არამედ ადამიანის სხეულთან, ტანთან.

ადამიანის ორგანიზმი (სხეული) მრავალი სხვადასხვა ნაწილისგან შედგება (როგორცაა, ტვინი, გული, ფილტვები, ღვიძლი და ა.შ.) მისი შენარჩუნებისა და ფუნქციონირების საქმეში ორგანოები ერთმანეთთან ჰარმონიაში უნდა მუშაობდნენ, თუ ასეთ ჰარმონიას ადგილი არა აქვს მაშინ მთელი ორგანიზმი საფრთხეში აღმოჩნდება. დიურკემისა და აგრეთვე პარსონსის თანახმად იგივე ხდება საზოგადოებაშიც. რათა საზოგადოებამ შეძლოს არსებობის გაგრძელება აუცილებელია მისმა შემადგენელმა სპეციალიზირებულმა ინსტრუქტებმა (პოლიტიკური სისტემა, რელიგია, ოჯახი, განათლების სისტემა) ერთმანეთთან ჰარმონიულად უნდა იმოქმედონ. ამგვარად საზოგადოების არსებობა დამოკიდებულია კოოპერაციაზე (შრომის დანაწილებაზე) რომელიც თავის თავში გულისხმობს საზოგადოების შემადგენელი ნაწილების საერთო კონსესუსს. (საყოველთაო თანხმობას ანუ როგორც კონტი იტყოდა ცონსენსუს ომნიუმ), ანუ საზოგადოების წევრების თანხმობას ძირითად ღირებულებებზე. ისინი კი ვინც კონფლიქტის პრობლემას განიხილავენ, განსხვავებულ პოზიციაზე დგანან.

მათი ძირითადი დებულებები შეიძლება ძალიან ადვილად ვაჩვენოთ, თუ მაგალითის სახით გამოვიყენებთ მარქსის მიერ მოცემულ კლასობრივი კონფლიქტის ცნებას. მარქსის თანახმად საზოგადოება იყოფა კლასებად, რამდენადაც რესურსების განსხვავებულ ოდენობას ფლობენ. რამდენადაც არსებობს გამოხატული უთანასწორობა, ამდენად შეიმჩნევა ინტერესთა სხვაობა, რომელიც “ჩაშენებული” აღმოჩნდება სოციალურ სისტემაში. ინტერესთა ეს კონფლიქტი განსაზღვრულ მომენტში კლასებს შორის აქტიურ ბრძოლაში გადადის, რომელმაც შეიძლება



დაბადოს რადიკალური ცვლილებების პროცესი. ამ მიდგომის ყველა მომხრე ასე დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ კლასებს როგორც მარქსი. ზოგჯერ განსხვავებათა საფუძველს, რომლებიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდება კონფლიქტის დროს, რასობრივ ჯგუფთა ან პოლიტიკურ ფრაქციათა შორის დამოკიდებულებებში ხედავენ. მაგრამ, როგორც არ უნდა ყოფილიყო კონფლიქტური ჯგუფები, საზოგადოება თავიდანვე განიხილება როგორც დამაბულობებით სავსე რამ და თვით ყველაზე სტაბილური სოციალური საფუძველიც კი გამოიყურება ანტაგონისტურ დაჯგუფებათა შორის არამყარი ბალანსის სახით.

### **შეფასება**

დებულებები კონფლიქტისა და კონსესუსის თანაფარდობის თაობაზე საექვოა როდესმე დასრულდეს. მიუხედავად ამისა კონსესუსის და კონფლიქტის პოზიციებს შორის არსებული განსხვავება, ჩემი აზრით, იმაზე უფრო რადიკალურად გამოიყურება ვიდრე ეს სინამდვილეშია. ამ ორი პოზიციის სავსებით შეუთავსებლობის შესახებ ბჭობა არაა გამართლებული. ნებისმიერ საზოგადოებას აქვს და აერთიანებს განსაზღვრული გვარის ერთიანობა ძირითადი ღირებულებების შესახებ და ნებისმიერი საზოგადოება, უექველია, გულისხმობს კონფლიქტის არსებობას.

უფრო მეტიც, სოციოლოგიური ანალიზის ერთერთ ძირითად წესს სწორედ სოციალური სისტემის შიგნით კონფლიქტსა და კონსენსუსს შორის კავშირების კვლევა წარმოადგენს. განსხვავებულ ჯგუფთა მიერ აღიარებული ღირებულებები და მათი წევრების მიერ დასახული მიზნები, ხშირად ასახვენ საერთო და დაპირისპირებულ ინტერესთა ნარევს. თვით მარქსისტული მიდგომაც კი აღიარებს, რომ ანტაგონისტურ კლასებს შორის რაღაც საერთო ინტერესები არსებობს, მაგ. კაპიტალისტებს ესაჭიროებათ მუშები თავიანთი საწარმოების გასამართავად ხოლო მუშებს ამავე ზომით ესაჭიროებათ კაპიტალისტები, რომლებიც მათ გასამრჯელოს აძლევენ. მსგავს ვითარებებში ღია კონფლიქტი ხანგრძლივი ვერ იქნება, უფრო სავარაუდოა მოხდეს ისე რომ ორივე მხარისთვის საერთო გადაწყობის განსხვავებებს, თუმცა ზოგჯერ შეიძლება პირიქითაც კი მოხდეს.

ასევე სასარგებლო ცნება, რომელიც წარმოსდგება კონფლიქტის და კონსესუსის ანალიზის დროს არის იდეოლოგია – ღირებულებებისა და შეხედულებების ერთობლიობა რომელიც ხელს უწყობს უფრო ძლიერი ჯგუფების პოზიციების შენარჩუნებას უფრო ნაკლებ ძლიერების მქონე ჯგუფების მიმართ, ხელს უწყობს მათი ბატონობის შენარჩუნებას. ძალაუფლება, იდეოლოგია და კონფლიქტი მუდამ მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. მრავალი კონფლიქტი წარმოიშობა ძალაუფლების მოპოვების გამო, რამეთუ იგი მის მოპოვებლებს პრივილეგიებსა და უპირატესობებს აძლევთ. ძალაუფლების მქონეთ შეუძლიათ თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად გამოიყენონ იდეოლოგიური საშუალებები, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში მათ ძალუძთ ძალის გამოყენებაც. მაგ: ფეოდალიზმის



ეპოქაში არისტოკრატების ბატონობა განმტკიცებული იყო იდეით, რომ რჩეულ ადამიანთა მცირე ნაწილი დაბადებული იყო იმისათვის რომ ებატონათ. მაგრამ არისტოკრატები ხალხის მიმართავდნენ ძალადობას იმათ მიმართ, ვინც გაბედავდა და ხელს აღმართავდა მათ ძალაუფლებაზე.

### თანამედროვე მსოფლიოს სახეები

**მარქსისტული პერსპექტივა.** როგორც ადრეც აღვნიშნეთ მარქსი თანამედროვე საზოგადოებებს განიხილავდა როგორც კაპიტალისტურს. თანამედროვე ეპოქაში მიმდინარე სოციალური ცვლილებების საფუძველში მდებარე წამყვანი იმპულსი ეკონომიკური ტრანსფორმაციების მოთხოვნილებაა. რომლებიც კაპიტალისტური წარმოების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. კაპიტალიზმი – გაცილებით დინამიური ეკონომიკური სისტემაა, ვიდრე ყველა მისი წინამორბედი სისტემა იყო. კაპიტალისტები ერთმანეთს ეჯახებიან იმ შესაძლებლობებისთვის რათა შეეძლოთ მიყიდონ თავიანთი საქონელი მომხმარებლებს. რათა შეინარჩუნონ არსებობა და გადარჩნენ საბაზრო კონკურენციის პირობებში, ფირმებმა თავიანთი პროდუქცია რაც შეიძლება ეფექტურად და იაფად უნდა აწარმოონ. ამას კი მივყავართ მუდმივ ტექნოლოგიურ ინოვაციებთან. რამდენადაც საწარმოო პროცესებში გამოყენებული ტექნოლოგიების ეფექტურობის ამაღლება, წარმოადგენს ერთერთ საშუალებას და წესს, რომლის მიხედვითაც კომპანიებს ძალუბთ დაჯაბნონ თავიანთი კონკურენტები.

ასევე სერიოზული სტიმულები არსებობს საქონლის გასაღების ბაზრების ძიებისათვის, იაფი ნედლეულის შეძენის შესაძლებლობები და იაფი მუშახელის გამოყენების შესაძლებლობები. ამიტომ კაპიტალიზმი, მარქსის მიხედვით წარმოადგენს მუდმივად გაფართოებად სისტემას, რომელიც მთელს მსოფლიოს იპყრობს. ასეთი წესით ხსნის მარქსი დასავლური ინდუსტრიის გავრცელებას გლობალური მასშტაბით.

მარქსს ჰყავს, როგორც მრავალრიცხოვანი მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები და კრიტიკოსები . კრიტიკოსები ცდილობენ მარქსის შეხედულებების უარყოფას და გვთავაზობენ ალტერნატიულ მიდგომებს იმ ფაქტორთა ანალიზისათვის რომლებიც განსაზღვრავენ თანამედროვე მსოფლიოს. პრაქტიკულად ყველა მკვლევარი ეთანხმება იმას, რომ კაპიტალიზმმა დიდი როლი ითამაშა თანამედროვე მსოფლიოს ჩამოყალიბებაში. მაგრამ სოციოლოგთა ნაწილი ამტკიცებს, რომ მარქსმა გადაჭარბებით შეაფასა ის როლი რომელიც ითამაშა მომხდარ ცვლილებებში წმინდად ეკონომიკურმა ფაქტორებმა, და გარდა ამისა, აღნიშნავენ, რომ კაპიტალიზმი არ არის თანამედროვე სოციალური განვითარების ცენტრი, როგორც ამას მარქსი ვარაუდობდა. ავტორთა უმეტესობა ასევე სკეპტიკურად აფასებენ მის მტკიცებას, რომ სოციალისტური სისტემა აუცილებლად შეცვლის კაპიტალიზმს.



### მაქს ვებერის თვალსაზრისი

მარქსის კრიტიკოსებიდან ერთერთი პირველი და ყველაზე სერიოზული კრიტიკოსი მაქს ვებერი იყო. მაქს ვებერის მიერ შემუშავებული მარქსის პოზიციის ალტერნატიული პოზიცია დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. მისი აზრით, თანამედროვე სოციალურ განვითარებში გადამწყვეტი როლი არაეკონომიკურმა ფაქტორებმა ითამაშეს. მაქს ვებერის ყველაზე ცნობილი და საკამათო შრომა “პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის გონი” ამტკიცებს, რომ კაპიტალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების დროს ფუნდამენტური მნიშვნელობა ჰქონდათ რელიგიურ ღირებულებებს განსაკუთრებით იმ ღირებულებებს რომლებიც დაკავშირებული იყვნენ პურიტანობასთან. მარქსის საწინააღმდეგოდ ეს მსოფლმხედველობა წარმოიშვა არა ეკონომიკური ცვლილებებისგან როგორც ასეთისგან.

ვებერის აზრით, კაპიტალიზმი როგორც ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციის განსაზღვრული წესი, არის მრავალთაგან მხოლოდ ერთი ფაქტორი, რომელმაც გავლენა იქონია სოციალურ განვითარებაზე თანამედროვე პერიოდში. კაპიტალისტური ეკონომიკური მექანიზმის უფრო ფუნდამენტურ საფუძვლად მოგვევლინა მეცნიერება და ბიუროკრატია. მეცნიერებამ ჩამოაყალიბა თანამედროვე ტექნოლოგია. თავის მხრივ, ბიუროკრატია წარმოადგენს ადამიანთა დიდი ჯგუფების ეფექტური ორგანიზაციის ერთადერთ წესს, და ამიტომ იგი გარდაუვლად გაიზრდება და გაფართოვდება ეკონომიკური პოლიტიკური ზრდის ზომის შესაბამისად. მეცნიერების, თანამედროვე ტექნოლოგიების და ბიუროკრატის გამოვლენას ვებერი არსებითად აღწერს როგორც რაციონალიზაციას. რაციონალიზაცია ნიშნავს ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ორგანიზაციის ეფექტურობის პრინციპის შესაბამისად ტექნიკური ცოდნის საფუძველზე.

### შეფასება

ორივე პოზიცია ჯერჯერობით კვლავ ინარჩუნებს არსებობის უფლებას რამეთუ კარგად გვიხსნის თანამედროვე მსოფლიოს განვითარებას, ხოლო თანამედროვე საზოგადოებების განვითარების გზების ფაქტოლოგიური კვლევები გვეხმარება იმის გარკვევაში მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებები ორივე მხარის პოზიციებს როგორ განამტკიცებს.

### გენდერის პრობლემა

მართალია ამ პრობლემას არ უკავია ცენტრალური ადგილი. თანამედროვე სოციოლოგიის ფუძემდებლებთან. მაგრამ ზოგიერთი ნაწყვეტი მათი შრომებიდან გვაძლევს საშუალებას ვილაპარაკოთ ამ პრობლემის მათეული ხედვის სპეციფიკაზე. მაგ. დიურკემი თავის ერთერთ შრომაში “თვითმკვლელობა” შენიშნავს რომ “მამაკაცი მთლიანად არის საზოგადოების პროდუქტი” მაშინ როდესაც ქალი მნიშვნელოვნად დიდი ზომით ბუნების პროდუქტია”. ავითარებს რა ამ დაკვირვებებს იგი მამაკაცის შესახებ წერს: “მისი გემოვნება, მისწრაფება და



იუმორი უფრო კოლექტიური წარმოშობისაა, მაშინ როდესაც მისი თანამგზავრის იგივე თვისებები უფრო ორგანიზმით განისაზღვრება. კაცის მოთხოვნილებები ამგვარად ძლიერ განსხვავდება ქალის მოთხოვნილებებისგან. : სხვა სიტყვებით მამაკაცი და დედაკაცი იგივეობრივნი არ არიან, მათ აქვთ განსხვავებული გემოვნება და მიდრეკილებები, ვინაიდან ქალები ნაკლებ სოციალიზებულნი არიან და უფრო ახლოს არიან ბუნებასთან ვიდრე მამაკაცები.

დღეს მსგავს თვალსაზრისს არავინ გაიზიარებს, ვინაიდან ქალის სპეციფიკური ინდივიდუალობა იგივე ზომით ყალიბდება სოციალიზაციის საშუალებით, როგორც კაცის ინდივიდუალობა. და მაინც, ზოგიერთი შესწორებების შეტანის შემდეგ დიურკემის მტკიცება-დასაბუთება გენდერის ბუნების ფორმირების ხედვის ერთ-ერთი შესაძლო წესთაგანი აღმოჩნდება. მხედველობაში აქვთ ის, რომ გენდერული განსხვავება ძირითადად ქალსა და კაცს შორის არსებულ ბიოლოგიურ განსხვავებებს ემყარება. ასეთი თვალსაზრისი აუცილებლად არ ნიშნავს იმას, რომ გენდერული განსხვავებები უწინარეს ყოვლისა თანშობილია. პირიქით, იგი ვარაუდობს რომ ქალის სოციალური პოზიცია მისი ქალურობა, ძირითადად განისაზღვრება ბავშვთა შობით და აღზრდით. თუ ეს თვალსაზრისი სწორია, მაშინ გენდერული განსხვავება ნებისმიერი საზოგადოების ატრიბუტია. მამაკაცების და დედაკაცების უთანასწორობა ძალაუფლების ფლობაში იმ ფაქტს ასახავს, რომ ქალები ზრდიან ბავშვებს და არიან მათი მთავარი აღზრდელები, მაშინ როდესაც მამაკაცები მოქმედებენ, “საჭირო სფეროებში” :პოლიტიკაში, ომში და ა.შ.

მარქსის თვალსაზრისი არსებითად განსხვავდება ამ პოზიციიდან. მარქსისათვის გენდერული განსხვავება ძალაუფლებასა და სტატუსში მხოლოდ სხვა განსხვავებას, უწინარეს ყოვლისა, კლასობრივ განსხვავებას ასახავს. მისი აზრით, პრიმიტიულ საზოგადოებაში არ არის არც კლასობრივი და არც გენდერული განსხვავება. მამაკაცის ბატონობა ქალზე წარმოიშობა მხოლოდ კლასების გაჩენასთან ერთად. როდესაც ჩნდება ქორწინების ინსტიტუტი, ქალები მამაკაცთა “კერძო საკუთრების” ერთ ერთ ფორმად გარდაიქმნებიან. ქალები ამგვარ მონობას მაშინ დააღწევენ თავს როდესაც საზოგადოების კლასობრივი დაყოფა დაძლეული იქნება. და კვლავაც მხოლოდ ძალიან ცოტა ვინმე თუ დაეთანხმება ამ აზრს დღეს, მაგრამ ის შეიძლება უფრო მისაღები გახდეს თუ თეზისს განვავითარებთ. კლასობრივი ფაქტორი არ არის ერთადერთი იმ სოციალური განსხვავებების განსაზღვრებაში რომლებიც მოქმედებენ ქალებისა და კაცების სოციალურ ქცევაზე. სხვა ფაქტორთაგან აღსანიშნავია ეთნიკური და კულტურული მიკუთვნებულობა და იდენტობა. მაგალითად სავსებით შესაძლებელია რომ ეთნიკური უმცირესობების კუთვნილი ქალები (მაგ: ზანგები ამერიკაში) . უფრო თანასწორ დამოკიდებულებაში არიან თავისივე ჯგუფის მამაკაცებთან მიმართებაში, ვიდრე უმრავლესობისადმი კუთვნილ ქალებთან მიმართ ე.ი. თეთრ ქალებთან მიმართებაში.ან შეიძლება მოხდეს ასე, რომ, ქალები რომლებიც განსაზღვრულ კულტურას მიეკუთვნებიან



უფრო მეტი საერთო ნიშნები აქვთ ამავე კულტურის მქონე მამაკაცებთან, ვიდრე ინდუსტრიული საზოგადოების ქალებთან.

### შეფასება

ამ დილემაში ჩართული საკითხები ფრიად მნიშვნელოვანია და პირდაპირ დაკავშირებულია იმ გამოწვევასთან რომელიც სოციოლოგებს ავტორმა – ფემინისტებმა (ქალებმა) ესროლეს. მიუხედავად იმისა რომ დღეს სოციოლოგიაში მომრავლდა ქალებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები დღემდე რჩება ისეთი სფეროები რომლებშიც ქალთა სპეციფიკური საქმიანობა და ინტერესები ჯერ კიდევ სუსტადაა შესწავლილი. “ქალური პრობლემატიკის შეტანა” სოციოლოგიაში თავისთავად არ ნიშნავს გენდერული პრობლემის გადაჭრას რამდენადაც გენდერი გულისხმობს განსხვავებას როგორც ქალების ისე მამაკაცების იდენტურობასა და ქცევებში, მოქმედებებში. დღეს ღიად რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი ხარისხით შეიძლება ახსნილი იქნას გენდერული განსხვავებები სხვა სოციოლოგიური კონტექსტების და ცნებების მეშვეობით და პირიქით, როგორი ხარისხით ესაჭიროება სხვა დანარჩენ სოციალურ მოვლენებს გენდერულ ტერმინებში ახსნა. რასაკვირველია სოციოლოგიას როგორც ამხსნელი მეცნიერების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ამოცანა ამ პრობლემების ეფექტურ გადაწყვეტასთან იქნება დაკავშირებული.

## ➤ დასკვნა

### ოგიუსტ კონტი (AUGUSTE CONTE)

(1798-1857)

ოგიუსტ კონტს ხშირად მოიხსენიებენ სოციოლოგიის მამად: მან საზოგადოების შესასწავლად პირველმა გამოიყენა მეცნიერული მეთოდი. ის ვარაუდობდა, რომ მეცნიერება დაეხმარება საზოგადოების მართვის ფარული კანონების წვდომაში. ასეთ მიდგომას მან თავიდან *სოციალური ფიზიკა* დაარქვა, შემდეგ კი *სოციოლოგია*, რაც ნიშნავს „მეცნიერებას საზოგადოების შესახებ“.

კონტი დაიბადა საფრანგეთში 1798 წელს. მასზე ღრმა გავლენა მოახდინა საფრანგეთის რევოლუციით გამოწვეულმა სოციალურმა და პოლიტიკურმა ძვრებმა. თავის ძირითად ნაშრომებში კონტი გამოდის განმანათლებლობის ეპოქის მეტაფიზიკური შეხედულებების წინააღმდეგ, რაც გაბატონებული იყო რევოლუციამდე საფრანგეთში. კონტი მიისწრაფის საზოგადოების შესასწავლად შეიმუშავოს რაციონალური მეთოდი, რომლის საფუძველი იქნებოდა დაკვირვება და ექსპერიმენტი. მას იმედი ქონდა, რომ ასეთი, ხშირად პოზიტივიზმად წოდებული, მიდგომა უზრუნველყოფდა უფრო მდგრადი საზოგადოებრივი წესრიგის პრაქტიკულ საფუძველს.





კონტის პოზიტივისტური სოციოლოგია ორი კონცეფციისაგან შედგება: სოციალური სტატიკა და სოციალური დინამიკა. *სოციალური სტატიკა* ნათელს ფენს ურთიერთობებს სოციალურ ინსტიტუტებს შორის. საზოგადოებაში, ვარაუდობდა კონტი, როგორც ცოცხალ ორგანიზმში, ნაწილები ჰარმონიულ ურთიერთობაში არიან. კონტი დრწმუნებულია, რომ საზოგადოებას ახასიათებს სტაბილურობა, მაგრამ მას მაინც აინტერესებდა *სოციალური დინამიკა*, სოციალური ცვლილებების პროცესები. სოციალური დინამიკის შესწავლა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ეს ხელს უწყობს რეფორმებს და ეხმარება ბუნებრივი ცვლილებების გამოკვლევაში, რასაც ადგილი აქვს სოციალური სტრუქტურების გარდაქმნისა და დაშლის შედეგად.

სოციოლოგიის განვითარების მსვლელობაში ორი იდეა იკვეთება. ოორივე მათგანის სათავე ოგიუსტ კონტის შრომებია. პირველია - მეცნიერული მეთოდების გამოყენება საზოგადოების შესასწავლად. მეორეა - მეცნიერების პრაქტიკული გამოყენება სოციალური რეფორმების ჩასატარებლად. კონტი დარწმუნებულია, რომ მეცნიერული ცოდნა შეიძლება ემსახუროს საზოგადოების კეთილდღეობას.

## მოკლე შინაარსი.

1. სოციოლოგია \_ ეს არის საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების შესწავლა. ის მონაცემებს (ფაქტებს) იღებს რეალური სამყაროდან და ცდილობს მათ ახსნას მეცნიერულ ანალიზზე დაყრდნობით. სოციოლოგიამ მეცნიერებად ჩამოყალიბება დაიწყო დაახლოებით ორი საუკუნის უკან.
2. სოციოლოგები იყენებენ რამოდენიმე ძირითად მიდგომას. ემოგრაფიული მიდგომა გვაძლევს საზოგადოების დახასიათებას შობადობის, სიკვდილიანობის და მიგრაციის შესწავლის გზით. ფსიქოლოგიური მიდგომა ანალიზებს ადამიანთა ქცევებს, ქცევის მოტივებს, აზრს, სოციალურ განწყობას. ოლექტივისტური მიდგომა გამოიყენება ჯგუფებისა და ორგანიზაციების შესწავლისას. მეოთხე მიდგომა გულისხმობს საზოგადოებრივი ცხოვრების, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების შესწავლას. მეხუთე, კულტუროლოგიური - ანალიზებს ქცევებს კულტურის ისეთ ელემენტებთან კავშირში, როგორებიცაა საზოგადოებრივი ნორმები და ღირებულებები.
3. სოციოლოგია შეისწავლის საზოგადოებას ორ, მიკრო და მაკროდონეზე. მიკროსოციოლოგია ძირითად ყურადღებას უთმობს ადამიანთა ყოველდღიურ



ურთიერთობებს, მაკროსოციოლოგია იკვლევს საზოგადოების ძირითად სტრუქტურებს.

4. მიკროსოციოლოგიურ დონეზე ძირითადი არის სიმბოლური ურთიერთქმედების (ინტერაქციონიზმის) თეორია. ამ თეორიის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ადამიანები გარკვეულ მნიშვნელობას (სიმბოლოებს) ანიჭებენ გარე სამყაროს ზემოქმედებას და მეტწილად ამ სიმბოლოებზე რეაგირებენ და არა თვით ზემოქმედებაზე. წარსულის გამოცდილება და ყველას მიერ გაზიარებული, ერთნაირად გაგებულ სიმბოლოები აადვილებენ ურთიერთობებს.
5. მაკროსოციოლოგიურ დონეზე არსებობს ორი თეორია: ფუნქციონალიზმი და კონფლიქტის თეორია. ფუნქციონალისტები საზოგადოებას განიხილავენ, როგორც ურთიერთდაკავშირებული ნაწილების სისტემას, რომელთაგან ყოველივე ახდენს გავლენას მთელის ფუნქციონირებაზე. სხვადასხვა ნაწილების ნორმალური ფუნქციონირების შედეგად ვღებულობთ მდგრად, ერთიან საზოგადოებას. კონფლიქტის თეორიის საფუძველს წარმოადგენს მარქსის დებულება, რომ ადამიანები ეკონომიკურ სისტემაში მათი ადგილების შესაბამისად, დაყოფილი არიან კლასებად და კონფლიქტი ამ კლასებს შორის გარდუვალია. კონფლიქტის თეორიის ზოგიერთი თანამედროვე მიმდევარი ძირითად მნიშვნელობას ანიჭებს ძალაუფლების დანაწილების სისტემას და არა ეკონომიკურ განსხვავებას.
6. სოციოლოგიური გამოკვლევა იწყება ჰიპოთეზით - დებულებით, რომელიც ვარაუდობს, რომ ერთი ფაქტი მიზეზშედეგობრივად არის დაკავშირებული მეორესთან. თეორია არის ურთიერთშესაბამისობაში მოყვანილი ჰიპოთეზების სისტემა. სოციოლოგიური მეთოდები \_ ეს არის წესები და საშუალებები, რომლებიც ერთმანეთს გადააბამენ ფაქტებს, ჰიპოთეზებსა და თეორიებს.
7. ცვლადი არის ცნება, რომელმაც შეიძლება მიიღოს სხვადასხვა მნიშვნელობა. სოციოლოგიის უმრავლესი გამოკვლევა ცდილობს გამოავლინოს რომელიმე გარკვეული მოვლენის ცვლილებები, ეს არის დამოკიდებული ცვლადი, ხოლო შემდეგ ახსნას ეს ცვლილებები სხვა მოვლენებთან კავშირში, ეს არის დამოუკიდებელი ცვლადი.
8. სოციოლოგიური გამოკვლევების ძირითადი მეთოდებია შერჩევითი განხილვა, სავსე გამოკვლევა, ისტორიული მეთოდი და ექსპერიმენტი. ამ მეთოდების გამოყენებით მკვლევარი ცდილობს გააკონტროლოს შესასწავლი მოვლენის ყველა შესაძლებელი მიზეზი, იხილავს რა მათ ცალ-ცალკე. ექსპერიმენტის ან სხვა მეთოდით კვლევის დროს სოციოლოგი ამცირებს დამოუკიდებელი ცვლადების რაოდენობას.
9. სოციოლოგიის განვითარებისათვის აუცილებელია პოლიტიკური კლიმატი, რომელიც ხელს შეუწყობს მკვლევარის თავისუფლებას, გამოკვლევის შედეგების პუბლიკაციის შესაძლებლობას და გამორიცხავს რეპრესიის მუქარას. სოციოლოგიის განვითარებაზე გავლენა აქვს საზოგადოებრივ პრობლემებსა და კრიზისებს. თავის მხრივ,



სოციოლოგების მოღვაწეობა ეხმარება საზოგადოებას პრობლემების დადგენასა და მათდამი ყურადღების გამახვილებაში.

10. სოციოლოგიური ცოდნა საზოგადოებაზე გავლენას შემდეგნაირად ახდენს:

- 1) სპეციალისტი სოციოლოგები მუშაობენ სახელმწიფოებრივ და კერძო ორგანიზაციებში;
- 2) სოციოლოგების მიერ შემუშავებული მეთოდები გამოიყენება სხვა სფეროებში;
- 3) სოციოლოგებს შეუძლიათ შეცვალონ ადამიანთა დამოკიდებულება მოვლენებისადმი, ასევე მიაწვდიან ინფორმაციას სოციალური პოლიტიკის საკითხებზე გადაწყვეტილებების მისაღებად;
- 4) სოციოლოგიური გამოკვლევები გვეხმარება არსებული სოციალური პოლიტიკის ქმედითობის შემოწმებაში.